# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 22 ოქტომბერი 2005 №243 (2566) ფასი 50 თეთრი




# მერაბ ჟორდანია შტურმზე მიდის

გუშინ ძველი ნაცნობი, ავსტრიელი კოლეგა დაგვიკავშირდა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას ამბები გამოგვკითხა. ჩვენც, ბუნებრივია, დავინტერესდით და იქით დავეკითხეთ, რა ხდება...

— მერაბ ჟორდანია მალე, შესაძლოა, ავსტრიაში ჩამოვიდეს — გვიპასუხა კოლეგამ და მიგვანიშნა, რომ ჟორდანია ევებ ერთ-ერთი ავსტრიული კლუბის თანამფლობელი გახდესო. ჩვენი საუბარი აღარ გაგრძელებულა. ავსტრიელმა კონკრეტიკისგან თავი შეიკავა...

მოგვიანებით კი ისევ ავსტრიიდან შევიტყვეთ, რომ მერაბ ჟორდანია და მისი პარტნიორები გრაცის „შტურმის" აქციათა საკონტროლო პაკეტის შესყიდვას აპირებენ. თანაც, „შტურმი" ახლა საპრეზიდენტო არჩევნების მოლოდინშია — კლუბის ხელმძღვანელის ვინაობა 11 ნოემბერს უნდა გაირკვეს. კანდიდატურა ჯერ მხოლოდ „შტურმის" ვიცე-პრეზიდენტმა კარლ ჰოლცერმა წამოაყენა, ხოლო პრეზიდენტი ჰანს კარტნიგი მოვლენათა განვითარებას ელის და ამბობს, რომ კანდიდატურას ხელახლა მხოლოდ იმ შემთხვევაში წამოაყენებს, თუ ფინანსურად ძლიერი პარტნიორებისგან გარანტია ექნება. განაცხადების მიღების ბოლო ვადა 8 ნოემბერია და კარტნიგიც იქამდე არ ჩქარობს.

ასეთი ამბავი გავიგეთ და, ცხადია, გუშინვე „შტურმის" ქართველს დავით მუჯირსაც დავუკავშირდით:

— „შტურმისა" და მერაბ ჟორდანიას ურთიერთობაზე მე არაფერი მსმენია და ალბათ არც არავინ იცის, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ვინ გაიმარჯვებს.

ბოლოს შევახსენებთ, რომ მერაბ ჟორდანია და მისი მეგობრები ადრე ბელგიური „რასინგ-მეხელენის" მფლობელები იყვნენ, ხოლო ამ კლუბის მწვრთნელი ცხონებული დავით ყიფიანი გახლდათ. ახლა კი მერაბ ჟორდანია მეორე წრეზე მიდის და ვნახოთ, რა იქნება.

დაგვეთანხმებით, საკმაოდ დამაინტრიგებლად ჟღერს — „შტურმი" და მისი ქართველი თანამფლობელი.

**კობა ინასარიძე**

# ქართული სპორტის საუკუნის კაცი



# 23–31 ოქტომბერი ვიქტორ სანეევის საიუბილეო ვექტორი

ერთხელ ვიქტორ სანეევმა თქვა, ყველა ყოფილ სპორტსმენს სიამოვნებს, როცა არ ივიწყებენო.

სოხუმში დაბადებულ-გაზრდილი, მერე თბილისელი, ახლა კი სიდნეელი ვიქტორ სანეევი არც ჩვენ დაგვვიწყებია და არც მას დავიწყნია საქართველო, რომელსაც თხუთმეტი წლის წინათ დაშორდა. ან რა დაგვავიწყებდა მეხიკოს (1968), მიუნხენისა (1972) და მონრეალის (1976) ოლიმპიური თამაშების ტრიუმფატორ სამმხტომელს, მსოფლიოს სამგზის რეკორდსმენს, ევროპის ზამთრისა და ზაფხულის ჩემპიონატების რვაგზის გამარჯვებულს, რომელსაც ზღვა სიხარული და სიამაყე მოჰქონდა ჩვენთვის.

ვიქტორ სანეევი მაშინაც გაგვახსენდა, როცა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის რეფერენდუმი მოეწყო ჩვენი ქვეყნის XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად. თითქმის ერთხმად, საუკეთესო ვაჟ სპორტსმენად სწორედ ვიქტორ სანეევი დასახელდა.

ვიქტორ სანეევი გავიხსენეთ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზეც, სადაც იგი საქართველოს ოლიმპიური ატაშე იყო. მას იქვე, სიდნეიში გადაეცა საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი ვაჟისთვის განკუთვნილი პრიზი.

ვიქტორ სანეევს ვიხსენებთ ახლაც, როცა იგი სამოცისა მოყრილა და ამასთან დაკავშირებით მსოფლიოს ერთ-ერთ უდიადეს ვეტერან სპორტსმენს თბილისში ვმასპინძლობთ აფხაზ მეუღლესთან, ტატიანა ხვარცკიასთან ერთად, რომელიც ახლა იანა ტატიანა ქეის სახელს ატარებს.

თბილისში ვმასპინძლობთო, ვამბობთ, მაგრამ, დარწმუნებულნი ვართ, ვიქტორ სანეევს ორმაგ მოქალაქეობასაც მისცემენ და ბინასაც.

მანამდე კი, შეიძლება ითქვას, თბილისში მისი კვირეულია, რაც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და ოლიმპიური ფონდის მეშვეობით გახდა შესაძლებელი.

# ავად ავსტრიასთან

## 17-წლამდელებს ერთი საჯავსე დარჩათ — ბულგარეთი

**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ ეტაპზე, საქმე გაირთულა. ლევან მელიქიას ბიჭებმა პირველ ტურში მასპინძელ ბელგიასთან 2:2 ითამაშეს და იმედი გვქონდა, რომ ბულგარეთისგან 4:0 ძლეულ ავსტრიას მოუგებდნენ, მაგრამ...

ქართველებმა 0:2 წააგეს და ორივე გოლი პირველ ტაიმში (მე-12 და 25-ე წუთებზე) სტანდარტული მდგომარეობიდან გაუშვეს. მეორე ნახევრის შუისკენ ჩრდილოირლანდიელმა მსაჯმა ადრიან მაკოურტმა მოედნიდან სანაია გააძევა და ავსტრიელებსაც საქმის ბოლომდე მიყვანა აღარ გასჭირვებიათ.

ნამატჩევს მცირე კომენტარი გააკეთა ლევან მელიქიამ — ამ წაგებით მეორე ეტაპზე გასვლის იმედი სულაც არ გადაგვიწურავს, ბოლო ტურში მოსაგებად ვითამაშებთო.

ჩვენი ჯგუფის მეორე მატჩი ბელგია — ბულგარეთი წუხელ, გვიან დამთავრდა, თუმცა რა შედეგითაც უნდა დასრულებულიყო, ქართველებს ხვალ მხოლოდ მოგება სჭირდებათ — ვინძლო, მეორე ადგილზე გავიდნენ. აქვე გეტყვით, ბოლო ტურის ორივე თამაში ერთდროულად, თბილისის დროით, 20 საათზე დაიწყება.

ქართველმა 17-წლამდელებმა ავსტრიასთან ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *კვასხვაძე, სანაია, შარანგია, ხუმარაშვილი, ბენაშვილი, დაუშვილი, ჩარგეიშვილი, წულაძე, თარხნიშვილი (გავაშელიშვილი), ღვინიაშვილი (ჯანელიძე), მჭედლიძე (ტეტუნაშვილი).*

**ილია ნანობაშვილი**



სოსო ფრუიძე


გიორგი ჩიხრაძე

ბადრი კეთილაძის ფოტოები

# რატომ ჩაიშალა ჟირუსი?


ბადრი კეთილაძის ფოტო

**გუშინ** ინტერნეტით ერთ საინტერესო ამბავს მივაკვლიეთ, თუმც სანამ ამაზე გეტყოდეთ, მცირე ორნაწილიან შესავალს გავაკეთებთ...

ნაწილი პირველი: 2004 წლის მარტში საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად ალენ ჟირესი დაინიშნა, რომელმაც წელიწადზე ოდნავ მეტი გაძლო ამ თანამდებობაზე და მერე მოხსნეს.

ნაწილი მეორე: 2003 წლის აგვისტოში რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად გეორგი იარცევი დაინიშნა, რომელიც მიმდინარე წლის დასაწყისში მოხსნეს.

რა საერთო აქვს ამ ორ ამბავს? რა და, დიდი შანსი იყო, 2003 წლის აგვისტოში რუსეთის ნაკრები არა იარცევს, არამედ ჟირესს ჩაბარებოდა. ყოველ შემთხვევაში, მისი კანდიდატურა რუსეთის საფეხბურთო კავშირის მაშინდელ პრეზიდენტ ვიაჩესლავ კოლოსკოვს ცნობილმა მიშელ პლატინიმ შესთავაზა და...

იმას კი ნაღდად ვერ გეტყვით, რატომ არ შედგა შეთანხმება...

**ქახა შალამბერიძე**

# ამერი — ბორჯომი: ახალი ისტორია

**ეროვნული** ჩემპიონატის მე-10 ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი დღეს გლდანშია — „ამერი" „ბორჯომს" უმასპინძლებს. მოგეხსენებათ, ორივე გუნდი უმაღლესი ლიგის დებიუტანტია, თუმც ჩემპიონატი რიხით დაიწყეს და ბევრს „ამერიც" და „ბორჯომიც" ჩემპიონობის თუ არა, საპრიზო სამეულის კანდიდატებად მიაჩნია.

ასე რომ, ვისაც კარგი ფეხბურთის ცოცხლად ნახვა სურს, გლდანში წასვლა არ დაიზაროს.

გუშინ ორივე გუნდის მწვრთნელებმა, ამერელმა გიორგი ჩიხრაძემ და ბორჯომელმა სოსო ფრუიძემ მატჩამდელი პრესკონფერენცია გამართეს...

*სოსო ფრუიძე:* ჯერჯერობით „ამერთან" 0:2-ს ვაგებთ. შარშან პირველ ლიგაში მათ ორივე თამაში მოგვიგეს, ახლა კი შევეცდებით, ეს ბალანსი დავარღვიოთ. განწყობა საბრძოლოა იმის მიუხედავად, რომ „ამერის". ძალა კარგად ვიცით. ვისარგებლებ შემთხვევით და ვიტყვი, რომ „ამერი" მართლაც კარგი გუნდია, ჰყავს კარგი მწვრთნელი და ფეხბურთელები, კლუბში სწორი მიმართულებით მიდის მუშაობა. ასე რომ, თუ ხვალ მოვიგეთ, ეს ორმაგად სასახელო გამარჯვება იქნება ჩვენთვის.

*გიორგი ჩიხრაძე:* მადლობა კომპლიმენტისთვის, იგივეს თქმა შემიძლია „ბორჯომზე". რეალურად ვიცით ამ გუნდის შესაძლებლობები, ძლიერი მეტოქე გვყავს და რთული მატჩი იქნება. წინა ტურში „ბორჯომმა" 0:4 წააგო, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ ხვალ მოტივაცია არ ექნებათ. პირიქით, იქნება ბრძოლა, არაფერს დაგვითმობენ და, ცხადია, არც ჩვენ დავუთმობთ რამეს. გპირდებით, საკმაოდ დაძაბული, საინტერესო მატჩის მოწმენი გახდებით.

**— შანსებს როგორ შეაფასებდით?**

*სოსო ფრუიძე:* რა გითხრათ, ჩვენთვის, მაგალითად, მნიშვნელობა არა აქვს, სად ვთამაშობთ და ვისთან. ყველა მეტოქესთან მოსაგებად გავდივართ, მაგრამ რადგან ამჯერად სტუმრად გვიწევს თამაში, მოკრძალებულად ვიტყვი: სამიცი ორმოცზე „ამერის" სასარგებლოდ.

*გიორგი ჩიხრაძე:* ბატონმა სოსომ ახსენა, „ამერი" 2:0-ს გვიგებსო. მე კი ასე ვიტყვი: რაც იყო, უკვე წარსულია, ჩვენ მომავალზე ვფიქრობთ და ხვალიდან ახალი ისტორიას ეყრება საფუძველი — უმაღლეს ლიგაში პირველად ვხვდებით ერთმანეთს.

**— ტრავმირებულები ხომ არ გყავთ?**

*სოსო ფრუიძე:* ყველა მწყობრშია, მხოლოდ რევაზ გეწაძე დაგვაკლდება დისკვალიფიკაციის გამო. მისი არყოფნა ჩვენთვის, ცხადია, დანაკლისი იქნება, მაგრამ რას ვიზამთ, შევეცდებით, უმისოდაც მოვიგოთ.

*გიორგი ჩიხრაძე:* საბედნიეროდ, ყველა ჯანზეა და საბრძოლველად მზად არიან.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ლოკომოტივს რკინიგზა შეეცვალა

**საქართველოს** რკინიგზის დეპარტამენტს ახალი შეფი ჰყავს — ირაკლი ეზუგბაიამ ამ პოსტზე დავით ონოფრიშვილი შეცვალა. ბუნებრივია, ეს ინფორმაცია პირდაპირ კავშირშია საფეხბურთო კლუბ თბილისის „ლოკომოტივთან", რომელიც ცხრა ტურის მერე ეროვნულ ჩემპიონატს ლიდერობს. ჩვენც გუშინ „ლოკომოტივის" ხელმძღვანელ *ლევან ყიფიანს* დავუკავშირდით...

**— რა გავლენა შეიძლება მოახდინოს კლუბზე რკინიგზის დეპარტამენტში ახალი თავმჯდომარის დანიშვნამ?**

— ჯერ ვერაფერს გეტყვით. ახალ თავმჯდომარეს არ ვიცნობ და არ ვიცი, რა აზრისაა იგი ფეხბურთზე.

**— ალბათ, მასთან შეხვედრასაც გეგმავთ...**

— რა თქმა უნდა, ადრე თუ გვიან შევხვდებით. ის გუშინ დაინიშნა და ჯერ ჩვენთან შეხვედრა რომ ვერ მოახერხა, რა გასაკვირია. ვნახოთ...

**— რკინიგზის დეპარტამენტის ძველი ხელმძღვანელობა სტადიონის გაყიდვას ფიქრობდა და ამ მხრივ თუ შეიცვალა რამე?**

— ახალი არაფერი ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ეს საქმე ძალიან წინაც არ წასულა. საერთოდაც, არარეალური მგონია ამ სტადიონის გაყიდვა, მით უმეტეს, იმ ფასად, როგორადაც სურთ.

**ქახა შალამბერიძე**


ბადრი კეთილაძის ფოტო

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XIII ტური

| | |
|---|---|
| რეიმსი 0:0 ვალენსიენი | |
| ლავალი 2:1 ამიენი | |
| კლერმონი 0:3 კაენი | |
| დიჟონი 2:2 მონპელიე | |
| სეტე 1:1 ბრესტი | |
| სედანი 2:1 კრეტეი | |
| გენგამი 0:1 შატორუ | |
| გრენობლი 3:0 გენიონი | |
| ლორიანი 0:0 ლე ავრი | |

### ინგლისი

ჩემპიონატი. XV ტური

ლიდსი 1:1 შეფილდი

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. IX ტური

ჰერაკლესი 0:2 ბრედა

II დივიზიონი XIV ტური

აპელდორნი 9:1 ჰელმონდი
დენ ბოსხი 2:2 დორდრეხტი
კამბური 1:1 ოსი
ეინდჰოვენი 0:1 ვეენდამი
ემენი 5:0 ალმერი
სიტარდი 0:2 ზვოლე
ექსელსიორი 3:1 ვოლენდამი
იგლსი 1:2 გრააფსხაპი
ტელსტარი 1:3 მაასტრიხტი
ვენლო 4:1 ჰაარლემი

### ავსტრია

I დივიზიონი. XVI ტური

ავსტრია (ლ) 2:1 კაპფენბერგი
ლინცერი 1:2 კარნტენი
გრატკორნი 2:1 კუფშტაინი
ავსტრია (მ) 2:2 შვანენშტადტი
ლეობენი 3:0 ალტახი

### პორტუგალია

სუპერლიგა. VIII ტური

ბელენენსეში — რიუ ავე
*გუშინ გვიან დამთავრდა*

### ბელგია

ჟუპილერლიგა. XI ტური

სტანდარდი 1:0 შარლერუა

### ირლანდია

პრემიერლიგა XXIX ტური

უოტერფორდი 1:1 სტ. პატრიკსი

თასი ნახევარფინალი

კორკი 1:0 დერი

### გერმანია

II ბუნდესლიგა X ტური

ბურგჰაუზენი 1:0 დინამო დრ.
პადერბორნი 3:0 ბრაუნშვაიგი
ბოხუმი 4:0 ფრაიბურგი
ალემანია 0:1 ოფენბახი

### პოლონეთი

I ლიგა. XI ტური

პოგონი 1:2 კრაკოვია

### იტალია

სერია B. XI ტური

კატანია 1:1 ბოლონია
ჩეზენა 0:0 ტრიესტინა

### უნგრეთი

NBI. IX ტური

ფერენცვაროში 1:1 დიოშდიორი

### თურქეთი

სუპერლიგა. X ტური

ტრაბზონი 0:0 ერჯიესი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე

10 ტური ანონსი

# ბათუმიდან ბოლნისამდე გზად გლდანშიც შეიარეთ

**ვითარებამ** მოიტანა და, „ტორპედო“ — „დინამოს“ ტურის ცენტრალურ მატჩად ვერ მივიჩნევთ, მაგრამ ისიცაა, რომ „ტორპედო“ — „დინამო“ მაინც „ტორპედო“ — „დინამოა“: ეს ყველაზე დიდი დერბია საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში. მწვავე დაპირისპირებაა „ვიტ ჯორჯია“ — „დინამოც“, მაგრამ ქუთაისელთა და დინამოელთა შეხლა მაინც სულ სხვაა, უფრო დიდი და მძაფრი ისტორია აქვს.

ქუთაისის „ტორპედომ“ წინა ორ ტურში ოთხი ქულა მოინაგრა, ხოლო „დინამომ“ მკვეთრად გამოასწორა თამაში და ხვალინდელ შერკინებაში ფავორიტიც ის უნდა იყოს. ქუთაისში ბოლო დროს ბევრი გულშემატკივარი აღარ დადის სტადიონზე და თუ ხვალაც ასე მოხდა, „ტორპედოს“ კიდევ უფრო გაუძნელდება „დინამოსთან“ გამკლავება — ქუთაისელებისთვის ფრე ალბათ მაქსიმუმი იქნება.

ხვალ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მატჩია — მიმდინარე ჩემპიონატში დაუმარცხებელი „ლოკომოტივი“ ლამის სკანდალურ გუნდად ქცეულ „ზესტაფონს“ მასპინძლობს. თუ „ლოკომოტივს“ ფეხი დაუცდა, ალბათ, ლიდერობასაც დაემშვიდობება, ხოლო თუ „ზესტაფონმა“ კვლავ წააგო, ისედაც განაწყენებული ზესტაფონელი გულშემატკივრის უკმაყოფილებაც გაიზრდება. მოკლედ, ვაკეში საკმაოდ მნიშვნელოვანი მატჩია.

წინა ტურში „დინამოსთან“ 0:3 დამარცხების შემდეგ რეაბილიტაციის შანსი ეძლევა ბოლნისის „სიონს“, მაგრამ „ცხინვალი“ ხანდახან ძალიან კერკეტი აღმოჩნდება ხოლმე მიუხედავად იმისა, რომ დიდი მიზნებისთვის არ იბრძვის. ერთი სიტყვით, „სიონისთვის“ ეს მატჩი იოლი არ უნდა იყოს, თუმცა ბოლნისელებს, ცხადია, გამარჯვების მეტი შანსი აქვთ.

ჯანზე მოსულ „ვიტ ჯორჯიას“ „სპარტაკთან“ რამდენიმე დისკვალიფიცირებული მოთამაშე დააკლდება, მაგრამ „შევარდენზე“ მაინც უნდა იმძლავროს — ასეთია ჩვენი პროგნოზი. „სპარტაკი“ ის გუნდი არაა, სიურპრიზები შემოგვთავაზოს და „ბურთი მრგვალიას“ პრინციპით იქნებ, რამეს გამორჩეს.

ზედიზედ ორი მატჩი წააგო ფოთის „კოლხეთმა“ და ნაკლებად სავარაუდოა, დღეს ეს სერია გაასამოს. კოლხთა სტუმარია სოხუმის „დინამო“, რომელმაც წინა შეხვედრაში „ბათუმი“ წააქცია. ძალთა ბალანსის მიხედვით, ფოთში ფრეს უნდა ველოდოთ. საერთოდაც, ისეთი წყვილია, რაგინდარა შედეგი მოულოდნელობად ვერ ჩაითვლება.

მოულოდნელობა იქნება, თუ „ბათუმმა“ შინ თელავის „კახეთს“ ვერ მოუგო. რაც „ბათუმი“ ოთარ გაბელიამ ჩაიბარა, გუნდმა ორი თამაში მოიგო და ამდენივე წააგო — შინ იგებს, სტუმრად მარცხდება. ბოლო ოთხ მატჩში ზუსტად ასეთი სტატისტიკა აქვს „კახეთსაც“. ისე, სტუმრად მოგება „კახეთმაც“ იცის, მეორე ტურში გორში „ცხინვალი“ დაამარცხა და „ბათუმი“ ალბათ ფრთხილად იქნება.

ფული შემოაკლდა „დილას“, მაგრამ გორში ამ გუნდის დამარცხება უქულო „თბილისისთვის“ მაინც შეუძლებელი ჩანს. თუმც ცხრა წაგების შემდეგ „თბილისმა“ იქნებ ნავსი გატეხოს. „თბილისი“ გამოცდილი ფეხბურთელებით აპირებს გაძლიერებას, კლუბი იძულებულია, პოლიტიკა შეცვალოს, სხვანაირად „თბილისის“ უმაღლეს ლიგაში დარჩენა წარმოუდგენლად ჩანს.

ტურის ერთ-ერთი საინტერესო მატჩი გლდანში გაიმართება. „ამერის“ სტადიონზე ტრიბუნა ცხრაას მაყურებელზე მეტს ვერ იტევს, მაგრამ გუნდის საშინაო მატჩებს გლდანში ბევრად მეტი მაყურებელი ჰყავს. ამერელთა მეტოქე წინა ტურში „ვიტ ჯორჯიასგან“ სირცხვილნაჭამი „ბორჯომია“, რომელსაც ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე, რევაზ გეწაძე არ ეყოლება დისკვალიფიკაციის გამო. ვიტელებმა ბორჯომელებს ოთხი უპასუხო ბურთი გაუტანეს და სოსო ფრუიძის გუნდი დღეს უბრალოდ ვალდებულია, საკუთარი ღირსებისთვის იბრძოლოს. დიდი მიზნები აქვს „ამერსაც“ და თუ გლდანში მიხვალთ, ალბათ, არც ინანებთ.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 9 | 7 | 2 | 0 | 15:2 | 23 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 7 | 1 | 1 | 20:5 | 22 |
| სიონი | 9 | 7 | 1 | 1 | 15:7 | 22 |
| ბორჯომი | 9 | 7 | 0 | 2 | 18:8 | 21 |
| დინამო | 9 | 5 | 1 | 3 | 13:6 | 16 |
| ამერი | 9 | 5 | 1 | 3 | 8:7 | 16 |
| ბათუმი | 9 | 4 | 1 | 4 | 6:6 | 13 |
| ზესტაფონი | 9 | 4 | 1 | 4 | 6:9 | 13 |
| დილა | 9 | 4 | 0 | 5 | 12:10 | 12 |
| კახეთი | 9 | 4 | 0 | 5 | 9:13 | 12 |
| კოლხეთი | 9 | 4 | 0 | 5 | 5:9 | 12 |
| ცხინვალი | 9 | 3 | 0 | 6 | 6:12 | 9 |
| ტორპედო | 9 | 2 | 2 | 5 | 6:9 | 8 |
| სოხუმი | 9 | 2 | 1 | 6 | 9:20 | 7 |
| სპარტაკი | 9 | 1 | 1 | 7 | 1:10 | 4 |
| თბილისი | 9 | 0 | 0 | 9 | 2:17 | 0 |

თბილისი. 22 ოქტომბერი. 15 საათი. ამერი

## ამერი — ბორჯომი

**მსაჯები:** ა. მეშკოვი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), მ. ელიკაშვილი; ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი); **ინსპექტორი:** ს. კუტივაძე

გორი. 22 ოქტომბერი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

## დილა — თბილისი

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ლ. სილაგავა (თბილისი); **ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

ბათუმი. 22 ოქტომბერი. 15 საათი. დინამო

## ბათუმი — კახეთი

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); მ. ურუშაძე, დ. კურტანიძე (ორივე თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); **ინსპექტორი:** ო. გუნთაძე

ფოთი. 22 ოქტომბერი. 15 საათი. ფაზისი

## კოლხეთი — სოხუმი

**მსაჯები:** მ. მაისურაძე (თბილისი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი), ხ. გაგნიძე (გორი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); **ინსპექტორი:** ს. კვარაცხელია

ბოლნისი. 23 ოქტომბერი. 15 საათი. თამაზ სტეფანია

## სიონი — ცხინვალი

**მსაჯები:** ლ. სილაგავა (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), დ. ხარიტონაშვილი; ვ. ელისაბედაშვილი (ორივე თბილისი); **ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა

ქუთაისი. 23 ოქტომბერი. 15 საათი. ტორპედო

## ტორპედო — დინამო

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ჯვარიძე (თბილისი); გ. ასკაროლლი (ქარელი); **ინსპექტორი:** დ. გოგია

თბილისი. 23 ოქტომბერი. 15 საათი. შევარდენი

## სპარტაკი — ვიტ ჯორჯია

**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია (თბილისი); ნ. რუსიშვილი (ქუთაისი), ა. ნონიკაშვილი (თბილისი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); **ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი

თბილისი. 23 ოქტომბერი. 15 საათი. მიხეილ მესხი

## ლოკომოტივი — ზესტაფონი

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი); **ინსპექტორი:** ს. კოტრიკაძე



ბადრი კალანდაძის ფოტო

ნეტავ როგორი იქნება ხვალინდელი „ტორპედო“ — „დინამო“?

# რომან ხაგბა: მე ყოველთვის სპორტსმენი ვიყავი და არა პოლიტიკოსი

*აფხაზები: თემურ ჟიბა, საიდ თარბა, ახრიკ ცვეიბა, რომან ხაგბა... ისინი 80-იან წლებში ქართულ გუნდებში თამაშობდნენ საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში...*

*ხაგბა შემტევი ნახევარმცველი გახლდათ, ჩაფსკვნილი და ტექნიკური, რომელმაც ლანჩხუთის „გურიასა" და ქუთაისის „ტორპედოს" გარდა თბილისის „დინამოშიც" ითამაშა...*

*ხაგბას რუსულ მობილურზე დავურეკეთ, რუსული ნომრით სარგებლობა მხოლოდ აფხაზეთის ჩრდილოეთშია შესაძლებელი, რუსეთთან ახლოს. როცა ხაგბას დავურეკეთ, ის თბილისის „დინამოს" ყოფილ ბაზაზე იყო...*

**— როგორც შევიტყვეთ, თქვენ აფხაზეთის თორმეტგუნდა ჩემპიონატის ერთ-ერთ გუნდს წვრთნით...**

— მე საფეხბურთო ლიცეუმში ვმუშაობ, ეს დაახლოებით ისაა, საბჭოთა კავშირის დროს სპორტული სკოლა-ინტერნატები რომ იყო. ამ ლიცეუმს მოზრდილთა გუნდიც ჰყავს, რომელიც აფხაზეთის ჩემპიონატში თამაშობს და მე ამ გუნდის მწვრთნელიც ვარ — ჩვენ გუნდს „ლიცეი" ჰქვია.

**— რომელ ადგილზეა ახლა „ლიცეი"?**

— პირველზე.

**— სად მდებარეობს ეს საფეხბურთო ლიცეუმი?**

— თბილისის „დინამოს" ბაზა რომ იყო ლესელიძეში, აი, იქ.

**— აფხაზეთის ჩემპიონატის მატჩებზე საშუალოდ რამდენი მაყურებელი დადის?**

— 1000-1500, ეს ალბათ არცთუ ცოტაა.

**— ფეხბურთელებს როგორი ანაზღაურება აქვთ?**

—ბევრიც არაფერი, მწვრთნელთა საშუალო ხელფასი კი 200 დოლარია.

**— აფხაზურ საფეხბურთო კლუბებს ვინ აფინანსებს?**

— მთავრობა, ყველა კლუბი აფხაზეთის ბიუჯეტიდან ფინანსდება.

**— ქართველები თუ თამაშობენ აფხაზურ გუნდებში?**

— როგორ არა, ჩვენც გვყავდა ერთი ნიჭიერი ბიჭი გალიდან, მაგრამ ორი წლის შემდეგ მან თავისი ნებით დაგვტოვა.

**— ამხანაგური მატჩი რომელიმე ქართულ გუნდთან — ამ იდეას როგორ უყურებთ?**

— ეს ჩემი კი არა, აფხაზეთის მთავრობის გადასაწყვეტია.

**— აფხაზურ გუნდებში მოთამაშე ფეხბურთელებმა ქართულ გუნდებში რომ მოსინჯონ ძალა, ამასაც მთავრობის ნებართვა სჭირდება?**

— კი, ეგრე გამოდის. ისე, ასეთი რაღაცების თაობაზე გოჩა ჟორჟოლიანის ძმა მესაუბრა, მაგრამ ასეთ საკითხებს მე ვერ გადავწყვეტ.

**— ქართულ გუნდებში რომ თამაშობდით, გრძნობდით, რომ იქ თქვენ „სხვა" იყავით?**

— არა, ეს არც „გურიაში" მიგრძვნია, არც „ტორპედოში" და არც „დინამოში", სადაც 1987 წელს ჩავირიცხე, მაგრამ დიდხანს ველარ გავჩერდი, ოჯახური პრობლემების გამო „დინამოს" დატოვებამ მომიწია და თამაში ხარკოვის „მეტალისტში" განვაგრძე. „დინამოში" კი კახი ასათიანმა მიმიწვია.

**— ქართულ ფეხბურთში მიმდინარე პროცესებით თუ ინტერესდებით?**

— ქართველ ლეგიონერებზე რუსული გაზეთებიდან ვიგებ, პრესას ყოველდღე ვეცნობი, უცხოეთში მოთამაშე ქართველებს რუსული ტელეარხებითაც ვუყურებ. ყველაზე ბევრი კარგი ლეგიონერი ყოფილი საბჭოეთიდან საქართველოს ჰყავს. მე ყოველთვის სპორტსმენი ვიყავი და არა პოლიტიკოსი.

**დავით თავართქილაძე**



*23 წლის მცველი ნუკრი მანჩხავა ლიტვურ „კაუნასში" ერთ-ერთი საუკეთესოა. იგი ზაფხულში გადავიდა თბილისის „ლოკომოტივიდან" ბალტიისპირეთში და „ლივერპულთან" ორ საჩემპიონთალიგო მატჩშიც გამორჩეული იყო კაუნასელთაგან, „ენფილდზე" ორჯერ გოლის გატანაც შეეძლო. გეცოდინებათ, „კაუნასის" მეპატრონე ცნობილი ოლიგარქი ვლადიმირ რომანოვია, რომელიც შოტლანდიური „ჰართსის" მფლობელიცაა. მანჩხავამ გულნატკენმა გვითხრა, შოტლანდაში გადასვლა ურეალურესი იქნებოდაო, მაგრამ...*

# ნუკრი მანჩხავა: საქართველოს ნაკრები ჰართსს მართმევს

— რომანოვი „ჰართსში" საუკეთესო კაუნასელებს აგზავნის, თუმც ხომ იცით, ბრიტანეთში გადასასვლელად ნაკრებში თამაშების 75 პროცენტი უნდა დაგიგროვდეს, მე კი ნული მაქვს. „კაუნასში" სისტემატურად ძირითადში ვარ — გოლი არ გამიტანია, მაგრამ შეტევებში აქტიურად ვერთვები და საგოლე პასებსაც ვაკეთებ.

**— საქართველოს ნაკრებიდან არავინ დაინტერესებულა შენი თამაშით ან „კაუნასის" მწვრთნელებისთვის არ უკითხავთ აზრი?**

— არა, ვის ვახსენდები... ვინმეს რომ დაერეკა, „კაუნასის" მწვრთნელი ან თვითონ რომანოვი მეტყოდა. არც მე, არც გივი კვარაცხელიას ყურადღებას არ გვაქცევენ, ჰყავთ 1988 წელს დაბადებული ბავშვები და სხვაგან არ იყურებიან. არადა, „კაუნასში" ორი-სამი თამაში მქონდა ჩატარებული, როცა რომანოვმა მითხრა, „ჰართსის" შანსი გაქვსო. მე კი არა, შანსი ლიტველებს აქვთ — ევროკავშირის ქვეყანაა და სულაც არ სჭირდებათ სანაკრებო 75 პროცენტი.

**— ლიტველებმა ალბათ იციან, საქართველოს ნაკრებში 17-18 წლის ბიჭებზე რომ კეთდება აქცენტი. რას ამბობენ?**

— ამათაც უკვირთ. ნაკრებს რომ ნელ-ნელა შეაჩვიო ჭაბუკები, ეს მესმის, მაგრამ ერთბაშად მაინცდამაინც 1988 წელს დაბადებულების აყვანა და სხვების იგნორირება სად გაგონილა?!

**— ლიტვის ჩემპიონატზეც ვთქვათ. ალბათ შეეგუეთ, რომ ამ სეზონში ჩემპიონობას ვერ შეწვდებით...**

— ასე გამოდის. ბოლო ათი ტურია, სულ ვიგებთ, მაგრამ ლიდერი „ეკრანასიც" არ კარგავს ქულებს და ოთხი ტურით ადრე 10 ქულით გვისწრებს. „ეკრანასთან" სათამაშო გვაქვს, მაგრამ გინდ მოვიგოთ, ველარ დავეწევით. ისე, ხვალ თასის ფინალი გვაქვს მირზა მერლანის „ვეტრასთან", ფავორიტები ვართ და ვნახოთ. თან თასის ფინალი კარგად მაქვს დაცდილი, წლეულს ხომ „ლოკომოტივში" თამაშისას „ზესტაფონს" მოვუგეთ და თანაც გოლი შევაგდე. „ვეტრას" ორი ტურის წინ ვძლიეთ, მერლანი კი კარგად მეკარეობს და პრესაც აქებს.

**— ადრე გვითხარი, ლიტვის ჩემპიონატი შესამჩნევად სჯობია ჩვენსასო. აზრი ხომ არ შეგიცვლია?**

— ცხადია, აქ უფრო მაღალი დონეა. პირობებიც გაცილებით უკეთესია.

**ილია ნანობაშვილი**

## თვალი თვალი



*ეს სოხუმის ცენტრალური სტადიონია, ომის დროს ლამის მიწასთან რომ გასწორდა... დღეს კი მთავარი ტრიბუნა ასე გამოიყურება, ოღონდ, არ გეგონოთ, ასეთი ხალხმრავლობა საფეხბურთო მატჩზე იყოს. იმ დღეს აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობა დამოუკიდებლობას აღნიშნავდა.*

**საქართველოს პირველი ლიგა — ჩემპიონატი პირველი ნრე — 17 — 11 ტური**

**რუსთავი 2:0 ამერი 2**

**გაგრა 2:1 მეშახტე**

**მერანი 2:1 ჩიხურა**

**დინამო 2 2:0 ზუგდიდი**

**გურია 2:0 ლოკომოტივი 2**

**ვიტ ჯორჯია 2 1:0 მესხეთი**

**დღეს**

**მაღაროელი — მეშაქრე**

**საგარეჯო — ლიახვი**

**გადაიდო**

**თბილისი 2 — ზესტაფონი 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 11 | 7 | 2 | 2 | 21:6 | 23 |
| ჩიხურა | 10 | 7 | 1 | 2 | 32:13 | 22 |
| ამერი 2 | 11 | 7 | 1 | 3 | 18:9 | 22 |
| მერანი | 11 | 6 | 3 | 2 | 14:7 | 21 |
| გურია | 11 | 6 | 2 | 3 | 23:14 | 20 |
| მეშაქრე | 10 | 6 | 2 | 2 | 14:7 | 20 |
| რუსთავი | 11 | 6 | 2 | 3 | 19:14 | 20 |
| გაგრა | 10 | 4 | 4 | 2 | 13:9 | 16 |
| მეშახტე | 11 | 4 | 3 | 4 | 12:9 | 15 |
| მესხეთი | 10 | 4 | 3 | 3 | 12:13 | 15 |
| ზუგდიდი | 11 | 4 | 3 | 4 | 5:8 | 15 |
| ლოკომოტივი 2 | 11 | 4 | 1 | 6 | 10:17 | 13 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 10 | 3 | 2 | 5 | 8:10 | 11 |
| საგარეჯო | 10 | 3 | 2 | 5 | 7:11 | 11 |
| თბილისი 2 | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | 8 |
| ლიახვი | 10 | 2 | 0 | 8 | 10:25 | 6 |
| მაღაროელი | 10 | 1 | 1 | 8 | 7:29 | 4 |
| ზესტაფონი 2 | 8 | 0 | 0 | 8 | 7:22 | 0 |

UEFA CUP

# უეფას თასი 2005-2006. ჯგუფური ეტაპი. I ტური

# მაკლარენმა მოაკეთინა



ცსკა — მარსელი 1:2. ფაბიენ ბარტეზმა პენალტი მოიგერია

**A ჯგუფი**

**ვიკინგი** (ნორვეგია) 1:0 **მონაკო** (საფრანგეთი)
1:0 ნლეკო (18)
**ცსკა** (ბულგარეთი) 0:1 **ჰამბურგი** (გერმანია)
0:1 ვან დერ ვაარტი (57)

**B ჯგუფი**

**მაკაბი** (ისრაელი) 1:2 **პალერმო** (იტალია)
0:1 ბრიენცა (11), 1:1 გოლანი (45), 1:2 ტერლიცი (77)
**ლოკომოტივი** (რუსეთი) 0:1 **ესპანიოლი** (ესპანეთი)
0:1 ტამუდო (54)

**C ჯგუფი**

**ჰალმშტადი** (შვედეთი) 0:1 **ჰერტა** (გერმანია)
0:1 ნოიენდორფი (67)
**სტიაუა** (რუმინეთი) 4:0 **ლანსი** (საფრანგეთი)
1:0 იაკობი (13), 2:0 გოიანი (16), 3:0, 4:0 დიცა (43, 63)
**გაძევება:** დინდანე (79, ლანსი)

**D ჯგუფი**

**დნიპრო** (უკრაინა) 1:2 **ალკმაარი** (ჰოლანდია)
0:1 შ. არველაძე (14), 0:2 სეკტიუ (52), 1:2 მატიუხინი (70)
**ალკმაარი:** ტიმერი, იალნისი, დე კლერი, ოპდამი, შაარსი, ლანძაატი, ჰისეგამსი, სტეინსონი, სეკტიუ (მერდინკი 83), შ. არველაძე (რამზი 90), პერესი
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
**გრასჰოპერი** (შვეიცარია) 0:1 **მიდლსბრო** (ინგლისი)
0:1 ჰასელბაინკი (10)

**E ჯგუფი**

**ბაზელი** (შვეიცარია) 0:2 **სტრასბური** (საფრანგეთი)
0:1 დიანე (15), 0:2 ბოკა (25)
**გაძევება:** მიულერი (32, ბაზელი)
**ტრომსიო** (ნორვეგია) 1:2 **რომა** (იტალია)
0:1 კუფური (35), 1:1 არსტი (42), 1:2 კუფრე (84)
**გაძევება:** პეროტა (88, რომა)

**F ჯგუფი**

**ცსკა** (რუსეთი) 1:2 **მარსელი** (საფრანგეთი)
0:1 ლამუში (23), 0:2 ნიანგი (38), 1:2 ვაგნერი (81)
**დინამო** (რუმინეთი) 0:0 **ჰერენვენი** (ჰოლანდია)

**G ჯგუფი**

**შახტარი** (უკრაინა) 1:0 **პაოკ** (საბერძნეთი)
1:0 ბრანდაო (68პ)
**რენი** (საფრანგეთი) 0:2 **შტუტგარტი** (გერმანია)
0:1 ტომასონი (87), 0:2 ლუბოია (90პ)

**H ჯგუფი**

**ზენიტი** (რუსეთი) 2:1 **გიმარაეში** (პორტუგალია)
1:0 სპივაკი (39პ), 2:0 არშავინი (53), 2:1 ნეკა (59)
**გაძევება:** მადეირუში (37, გიმარაეში), რადიმოვი (31, ზენიტი)
**ბეშიქთაში** (თურქეთი) 1:1 **ბოლტონი** (ინგლისი)
1:0 აილტონი (7), 1:1 ბორგეტი (29)

### A ჯგუფი

„მონაკოს“ მწვრთნელ ფრანჩესკო გვიდოლინის ევროდებიუტი მარცხიანი გამოდგა. პირველი ტაიმის შუაში სამხრეთაფრიკელმა ნლეკომ ხუთიოდ მეტრიდან გაუტანა ვარმუზს, საპასუხოდ კი ოლივიე კაპომ შეუტია და ბურთი ძელს გაარტყა. „ვიკინგის“ მეკარე ანტონი ბასომ კარგად ითამაშა და 5-6-ჯერ იხსნა მასპინძლები, ხოლო მატჩის ბოლო წუთზე სტუმარმა გოლიოტიმ ძელი კიდევ ერთხელ შეატოკა.

დისკვალიფიცირებული თომას დოლის „ჰამბურგმა“ რაფაელ ვან დერ ვაარტის გოლით სოფიის ცსკა-ს მოუგო. ჰოლანდიელმა დაახლოებით 20 მეტრიდან გაიტანა, ბულგარელებს კი შეტევაში არაფერი გამოუვიდათ.

### B ჯგუფი

საჯარიმოს გარედან კრისტიან ტერლიცის გატანილმა კოხტა გოლმა „პალერმოს“ სამი ქულა მოუტანა. სიცილიელები პირველ ტაიმში სჯობდნენ მეტოქეს და ბრიენცას წყალობით დაწინაურდნენ. სტუმრებმა შემდეგ ორი ნალდი მომენტი ვერ გამოიყენეს, რომან გოლანმა კი გაათანაბრა. შეხვედრის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე ტერლიციმ შორიდან გაისროლა და მეკარე ოად კოენი უშანსოდ დატოვა.

### C ჯგუფი

ბუქარესტში „სტიაუა“ „ლანსს“ იოლად გაუსწორდა. მეცამეტე წუთზე ვიქტორაშ იაკობმა თავური დარტყმით გახსნა ანგარიში, დორინ გოიანმა კი მალევე მეორე მიაყოლა. ნიკოლაე დიცამ ტაიმის დასრულებამდე კიდევ ერთი გაუტანა შარლ იტანჟეს, ხოლო მეორე ნახევარში მანვე იხეირა და დუბლი გაიფორმა. 79-ე წუთზე ფრანგებს არუნა დინდანე გაუძევეს და ათკაცა „ლანსმა“ ისღა მოახერხა, რომ მეხუთე აღარ გაუშვა.

ბერლინის „ჰერტამ“ შვედეთში ნოიენდორფის გოლით „ჰალმშტადს“ მოუგო. ბუნდესლიგელები მთელი მატჩის განმავლობაში აშკარად მასპინძლებზე უკეთ თამაშობდნენ და მეკარე იუჰანსონს რომ არ ეყოჩაღა, მეტსაც გაიტანდნენ.

### D ჯგუფი

„დნიპრომ“ ლუის ვან გაალის „ალკმაარს“ ვერაფერი დაუპირისპირა. ჰოლანდიური გუნდი ერთი თავით სჯობდა უკრაინულს და ბევრი საგოლე მომენტიდან სტუმრებმა მხოლოდ ორი გამოიყენეს. შოთა არველაძემ ახლოდან გაიტანა, სეკტიუმ კი მეორე ტაიმის დასაწყისში თავით შეაბრძანა ბურთი კარში. მოგვიანებით მატიუხინმა ერთის გაქვითვა მოახერხა.

„მიდლსბრომ“ ციურიხში „გრასჰოპერსს“ ჰასელბაინკის გოლით სძლია და პრემიერლიგელთა მწვრთნელმა სტივ მაკლარენმა თქვა, ეგებ ახლა მაინც მოკეტონ ჩემმა კრიტიკოსებმაო: „ბოლო რვა მატჩში მხოლოდ ერთი წავაგეთ. ჩემპიონატში ცხრილის შუაში ვართ და გუნდი ნელ-ნელა თამაშს აუმჯობესებს. არ მესმის, რას მერჩიან. პირველ ტაიმში მეტოქე დავჩაგრეთ, შესვენებაზე კი ბიჭებს ვუთხარი, მეორის გატანაც სცადეთ-მეთქი, მაგრამ არ გამოვიდა და არა უშავს“.

### E ჯგუფი

ფრანჩესკო ტოტის გარეშე მოთამაშე „რომას“, ზორბა ნორვეგიელებთან გაუჭირდა, თან მოედანიც ისეთი იყო, რომ ბურთის გორებას ნაჩვევი იტალიელები დაიტანჯნენ. მიუხედავად ამისა, სამუელ კუფურმა სტუმრები დააწინაურა და განელისთვის ეს პირველი რომაული გოლი გამოდგა. მათი სიხარული სულ ექვს წუთს გაგრძელდა, რადგან არსტმა გაათანაბრა, მეორე ტაიმის მიწურულს კი ლეანდრო კუფრემ „რომას“ გამარჯვებისა გაიტანა. „ჩვენ გემოზე ვერ ვითამაშეთ, რადგან მოედანი საშინელ მდგომარეობაში იყო — თქვა სტუმართა მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ — მაგრამ სამი ქულა დავიმსახურეთ“.

„სტრასბურმა“, რომელსაც შინა ჩემპიონატში ჯერ მატჩი არ მოუგია და 11 შეხვედრაში ხუთ გოლზე მეტი არ გაუტანია, ბაზელში მოულოდნელად იმარჯვა. ამარა დიანემ მეთოთხმეტე წუთზე გახსნა ანგარიში, ხოლო არტურ ბოკამ მალე მეორეც მიაყოლა. „ბაზელის“ მცველი პატრიკ მიულერი 33-ეზე გააძევეს და კაცნაკლულმა შვეიცარიელებმა გოლის გატანა ველარ მოახერხეს.

### F ჯგუფი

ცსკა-ს მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა „მარსელთან“ მარცხის შემდეგ განაცხადა: „პირველ ტაიმში ცუდად ვითამაშეთ და ორი კონტრშეტევა გაგვეპარა, რომლებიც გოლით დასრულდა. მეორე ნახევაში აშკარა უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ მომენტები ვერ გამოვიყენეთ მხოლოდ იმიტომ, რომ კარში ფაბიენ ბარტეზი იდგა.“

საბრი ლამუშიმ და მამადუ ნიანგმა „მარსელი“ შესვენებამდე ორი ბურთით დააწინაურეს. მეორე ტაიმის 49-ე წუთზე ცსკა-ს სასარგებლოდ პენალტი დაინიშნა, მაგრამ იგნაშევიჩს ბარტეზმა აუღო. ვაგნერ ლავმა ბოლოს ერთის გაქვითვა შეძლო.

სტუმართა თავკაცმა ჟან [illegible]-ნდესმა თქვა: „ბარტეზს [illegible] რომ ვერ აეღო, ძალიან [illegible]-დებოდა“.

დონეცკის „შახტარმა“ 15-ჯერ [illegible] დაარტყა პაოკ-ის კარში, მაგრამ მხოლოდ ერთხელ, ისიც [illegible]-ტიანი საჯარიმოს წყალობით [illegible]-ირა. გოლი ბრაზილიელმა „კაკა-კეთეს“ — ელანო [illegible] დაომ კი გაიტანა.

„შტუტგარტმა“ „რენს“ [illegible] წუთში მოუგო. ჯოვანი [illegible] ნიმ შესვენებაზე იოჰენ [illegible] რი დანიელ ლუდუიანი შეცვალა, [illegible] მელმაც გუნდი „დაქოქა“. [illegible] ტცლშერეგერმა 87-ეზე შეაგდო [illegible] კი ლუბოიამ პენალტი გაიტანა.

### H ჯგუფი

„ბეშიქთაშმა“ ახალი მწვრთნელის გორდონ მილნეს ხელში [illegible] მატჩი ვერ მოიგო. „ბოლტონის“ თავკაცმა სემ ალარდაისმა „ბეშიქთაშთან“ 1:5 მარცხის შემდეგ [illegible] გენლობაში შვიდი ფეხბურთელი შეცვალა. ძირითადში ადგილი ვერც მექსიკელ ბორგეტის, რომელმაც აილტონის გოლს ოცდაორ წუთში უპასუხა და „ბოლტონის“ ხელ-ბოლოდან ქულა წაიღო.

ათკაცა „ზენიტმა“ ათკაცა „გიმარაეშს“ მოუგო. პორტუგალიელებს მადეირუში, ზენიტელებს კი რადიმოვი გაუძევეს, რასაც [illegible] გოლი მოჰყვა. მეორე არშავინის [illegible] და „გიმარაეშმა“ ოდენ ერთი ბურთი გაქვითა.

**მაკა ხუციშვილი**



ტრომსიო — რომა 1:2. სამუელ კუფურმა პირველი რომაული გოლი შეაგდო

# ინგლისი
## ტრავმების ტური

გიორგი კაკაბაძე

| X ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბლექბერნი | : | ბირმინგემი |
| არსენალი | : | სიტი |
| ფულემი | : | ლივერპული |
| მანჩესტერი | : | ტოტენჰემი |
| ასტონ ვილა | : | უიგანი |
| პორტსმუთი | : | ჩარლტონი |
| **ხვალ** | | |
| ბოლტონი | : | ვესტ ბრომვიჩი |
| ევერტონი | : | ჩელსი |
| ნიუკასლი | : | სანდერლენდი |
| ვესტ ჰემი | : | მიდლსბრო |

| საძლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 9 | 9 | 0 | 0 | 23:3 | 27 |
| ტოტენჰემი | 9 | 5 | 3 | 1 | 11:5 | 18 |
| მანჩესტერი | 8 | 5 | 2 | 1 | 13:6 | 17 |
| სიტი | 9 | 5 | 2 | 2 | 10:6 | 17 |
| ჩარლტონი | 8 | 5 | 1 | 2 | 13:8 | 16 |
| უიგანი | 8 | 5 | 1 | 2 | 8:5 | 16 |
| ბოლტონი | 9 | 4 | 2 | 3 | 10:11 | 14 |
| არსენალი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:6 | 13 |
| ვესტ ჰემი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:6 | 12 |
| მიდლსბრო | 9 | 3 | 3 | 3 | 10:12 | 12 |
| ბლექბერნი | 9 | 3 | 2 | 4 | 7:10 | 11 |
| ლივერპული | 7 | 2 | 4 | 1 | 5:6 | 10 |
| ნიუკასლი | 9 | 2 | 3 | 4 | 5:8 | 9 |
| ასტონ ვილა | 9 | 2 | 3 | 4 | 9:14 | 9 |
| ვესტ ბრომვიჩი | 9 | 2 | 2 | 5 | 9:16 | 8 |
| პორტსმუთი | 9 | 1 | 4 | 4 | 6:10 | 7 |
| ფულემი | 9 | 1 | 3 | 5 | 8:14 | 6 |
| ბირმინგემი | 9 | 1 | 3 | 5 | 7:13 | 6 |
| სანდერლენდი | 9 | 1 | 2 | 6 | 7:14 | 5 |
| ევერტონი | 8 | 1 | 0 | 7 | 1:11 | 3 |

**სპეციალისტთა** თუ ქომაგთა დიდი ნაწილისგან უკვე ჩემპიონად შერაცხული „ჩელსი" „ევერტონს" სტუმრობს, რომელიც მოგეხსენებათ, მწვავე კრიზისშია და ბოლო ადგილიდან ვერ დაძრულა. ცხადია, ფავორიტზე ზედმეტი კითხვების დასმა არც ღირს, მაგრამ „გუდისონ პარკზე" „ტკბილეულებს" ჯერ ქულაც არ აუღიათ და ყველანაირად ეცდებიან, ლონდონელების გამწარებას.

ჟოზე მაურინიომ შესაძლოა, ორი წამყვანი მოთამაშე — დიდიე დროგბა და არიენ რობენი ვერ დაიხმაროს. ექიმები მათ ამბავს ბოლო მომენტში გადაწყვეტენ. ნამდვილად არ იქნება დამიენ დაფი, რომელმაც ოპერაცია გაიკეთა და სამი კვირა ბურთს არ უნდა გაეკაროს. „ევერტონს" ენდი ვან დერ მეიდე დააკლდება. მიკაელ არტეტამ და ჯეიმს ბიტიმ კი ტრავმები მოიშუშეს.

ტრავმების პრობლემა სერიოზულად აწუხებს „მანჩესტერ იუნაიტედს". „ტოტენჰემთან" არცთუ იოლი მატჩის წინ სერ ალექს ფერგიუსონს ერთბაშად რამდენიმე მოთამაშე გამოაკლდა. როი კინის ამბავი უკვე მოძველებულია. ახლა ლაზარეთი რაიან გიგზმაც შეავსო, სადაც ასევე გარი ნევილ, გაბრიელ ჰაინცე და კვინტონ ფორჩუნი იმყოფებიან.

„მამლებს" უეინ რუტლეჯი და ენტონი გარდნერი არ ეყოლებათ. თუმც მარტინ იოლის მთავარი საფიქრალი აჰმედ ჰოსამ მიდოა, რომლის თამაშიც საეჭვოა. არადა, „უაით ჰარი ლეინის" ბინადრებს ეგვიპტელის ძალიან ეიმედებათ.

გაჭირვებაში მყოფი „არსენალი" უაღრესად სიმპათიური „სიტის" მასპინძლობს და ვინძლო ძალიანაც გაუჭირდეს, თუმც სტატისტიკა მანჩესტერელებს არ ემხრობა. მათ „ჰაიბერიზე" 30 წელია, არ მოუგიათ. სტუმრებს რიჩარდ დანი და ბენ ტეტჩერი ჰყავთ დაშავებული, „მეთოფეებს" კი ხოსე ანტონიო რეისი, სოლ კემპბელი, ეშლი კოული, ალექსანდრ გლები და ფრედი ლიუნგბერგი, თუმც დაბრუნდა ტიერი ანრი.

მრავალრიცხოვანია „ნიუკასლის" დაშავებულთა სიაც. მასში კირონ დაიერი, ტიტუს ბრამბლი, ალბერტ ლუკე, კრეიგ მური და სელესტინ ბაბაიარო შედიან. „კაჭკაჭთა" ექიმები კი შიშობენ, ტრავმა მაიკლ ოუენსაც არ გაუმიზეზდესო. არადა, გრემ სუნესის მთავარი იმედი ახლა სწორედ „ოქროს ბიჭუნაა". რამდენიმე მოთამაშე აკლიათ „შავ კატებსაც", რომლებმაც ქულების მოხვეჭა თუ არ დაიწყეს, ქვედა ლიგის იხვზურის ვადამდე დიდი ხნით ადრე გაიფორმებენ.

მიმზიდველი მატჩი უნდა შედგეს „აპტონ პარკზე" — „ვესტ ჰემი" „მიდლსბროს" მიიღებს. სტუმრების მთავარი სატკივარი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკია. ჰოლანდიელი უეფას თასის მატჩში დაშავდა და მინდორზე მისი გასვლა ეჭვქვეშაა.

ლონდონს ეწვევა „ლივერპულიც". მერსისაიდელთა მეტოქე ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფი „ფულემია", თუმც ამ გუნდთან გასვლაზე თამაში ყოველთვის ჭირს. რაფაელ ბენიტესისთვის ყველაზე სასიხარულო ამბავი მატჩის წინ სტივენ ჯერარდის გამოჯანმრთელება იყო. სამაგიეროდ, თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ ვერ ითამაშებს სტივ ფინანი.




# გერმანია
## ფახს არ ეშინია

ვაჟა ხეციშვილი



ლევან კობიაშვილის „შალკე" ლევან ცქიტიშვილის „ვოლფსბურგს" ეწვევა

**მიჯრით მოგებული** სამი მატჩის შემდეგ პირველ ადგილზე გადაბრძანებული ბრემენის „ვერდერი" ჰანოვერს სტუმრობს, სადაც ბოლო ცხრა მატჩი არ წაუგია. თავის მხრივ „ჰანოვერს" 10 სექტემბრის შემდეგ შინ არ მოუგია. გასულ ტურში სტუმრად „კიოლნის" ძლევით წელგამართული „ვერდერის" მასპინძლები მეტოქეს ემუქრებიან. ევალდ ლინენმა განაცხადა: „კიოლნთან" კარგად ვითამაშეთ და ახლა პასუხისმგებლობა მოგვემატა. დანავსული საშინაო სერია „ვერდერთან" უნდა შევწყვიტოთ".

„ბაიერნს", რომელიც „დუისბურგს" დაუხვდება, ოთხი ფეხბურთელი ჰყავს ტრავმირებული. დემიკელისი, ლამი, ჰარგრივსი და ლიზარაზუ გუნდს ვერ დაეხმარებიან. ნახევარდაცვაში ბალაკსა და ზე რობერტოს დაისლერი და იერემისი შეეშველებიან. აქვე ისიც ვთქვათ, რომ „ბაიერნს" ოთხ საშინაო მატჩში გოლი არ გაუშვია.

ერთი კვირის წინ „ვოლფსბურგისგან" პირველმარცხნაგემი „ჰამბურგი" დორტმუნდის „ბორუსიას" ეწვევა. თომას დოლის გუნდს მთავარი ფეხბურთელი რაფაელ ვან დერ ვაარტი დააკლდება, რადგან სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს, „ბორუსიამ კი ბოლო ოთხი ტური წაუგებლად ჩაატარა.

„ვოლფსბურგს" მიჯრით მესამე მატჩი უწევს გუნდთან, რომელიც ცხრილში „მგლებზე" მაღლაა. ჰოლგერ ფახის შეგირდებმა „ბაიერნთან" სტუმრად 0:1 წააგეს, მერე ასევე სტუმრად „ჰამბურგს" მოუგეს, ამჯერად კი „შალკეს" უმასპინძლებენ. „ზედიზედ მესამე თამაში გვაქვს ლიდერებთან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დავილალეთ და „შალკეს" ვერ ვაჯობებთ" — განაცხადა ფახმა. მასპინძლებს დისკვალიფიცირებული მაიკ ფრანცი დააკლდებათ, ლევან ცქიტიშვილი და მიროსლავ კარჰანი კი ტრავმირებულნი არიან. სტუმრებს „ფენერბაჰჩესთან" ებე სანდი დაუშავდათ და დანიელი ვერ ითამაშებს. აღსანიშნავია, რომ „ვოლფსბურგში" ბოლო შვიდი სტუმრობიდან „შალკემ" მხოლოდ ერთხელ შეძლო მოგება.

მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" მეექვსე ტურიდან რომ „აიწყვიტა", ოთხ თამაშში ათი ქულა მოაგროვა და მეხუთე ადგილზე აღზევდა. გლადბახელები „კაიზერსლაუტერნს" უმასპინძლებენ, რომელსაც უკვე ექვსი ტურია, მოგების გემო არ გაუსინჯავს. „ბორუსია" ბოლო ათ საშინაო შეხვედრაში დაუმარცხებელია და მწვრთნელ ჰორსტ კოეპელს „ლაუტერნთა" გამარჯვებისაც ეიმედება. გლადბახელთა მცველმა კრისტიან ციგემ კარიერა დაასრულა და მატჩს ტრიბუნიდან ნახავს, მისი ადგილი კი მარსელ იანსენს ერგო და ახალი ოთხწლიანი კონტრაქტიც გააფორმა.

„კაიზერსლაუტერნს" ჩირიაკო სფორცა გაშორდა, მწვრთნელთან კამათის გამო. შვეიცარიელ გამთამაშებელს ფერიდონ ზანდი შეცვლის, შეტევაში კი ჰალილ ალტინტოპს ბუბაქარ სანოგო შეუწყვილდება.

„ჰერტამ" ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო და მეშვიდე ადგილზე დაეშვა. ბერლინელები ვითარების გამოსწორებას „მაინცთან" მოგებით შეეცდებიან.

ლევერკუზენელთა მწვრთნელ მიხაელ სკიბესთვის „შტუტგარტთან" მატჩი „ბაიარენაზე" პირველი იქნება. სკიბეს დებიუტი წინა ტურში მაინცში შედგა და „ფარმაცევტები" 1:3 დამარცხდნენ. მასპინძელთა ძირითადი შემადგენლობის ყველა ფეხბურთელი ჯანზეა, ხოლო „შტუტგარტს", რომელსაც სტუმრად თამაში არ წაუგია, დისკვალიფიცირებული იონ დალ ტომასონი დააკლდება.

ბოლო ექვს მატჩში მხოლოდ ორი გოლის გამტანი „აინტრახტი" „კიოლნს" დაუხვდება. ფრანკფურტელებს ბუნდესლიგაში ყველაზე სუსტი თავდასხმა ჰყავთ. რაც შეეხება „თხებს", მიჯრით ოთხი თამაში წააგეს და სატურნირო მდგომარეობა გაიუარესეს.

| X ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ნიურნბერგი | : | არმინია |
| ჰანოვერი | : | ვერდერი |
| აინტრახტი | : | კიოლნი |
| ბაიერნი | : | დუისბურგი |
| ვოლფსბურგი | : | შალკე |
| გლადბახი | : | ლაუტერნი |
| ჰერტა | : | მაინცი |
| **ხვალ** | | |
| ლევერკუზენი | : | შტუტგარტი |
| დორტმუნდი | : | ჰამბურგი |

| საძლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი | 9 | 7 | 1 | 1 | 27:12 | 22 |
| ბაიერნი | 9 | 7 | 1 | 1 | 18:6 | 22 |
| ჰამბურგი | 9 | 6 | 2 | 1 | 17:5 | 20 |
| შალკე | 9 | 4 | 5 | 0 | 11:6 | 17 |
| გლადბახი | 9 | 4 | 3 | 2 | 11:10 | 15 |
| ვოლფსბურგი | 9 | 4 | 3 | 2 | 12:12 | 15 |
| ჰერტა | 9 | 4 | 2 | 3 | 12:12 | 14 |
| დორტმუნდი | 9 | 2 | 5 | 2 | 14:13 | 11 |
| შტუტგარტი | 9 | 2 | 5 | 2 | 10:10 | 11 |
| ლევერკუზენი | 9 | 3 | 2 | 4 | 16:17 | 11 |
| ჰანოვერი | 9 | 2 | 4 | 3 | 13:13 | 10 |
| არმინია | 9 | 2 | 3 | 4 | 9:13 | 9 |
| კიოლნი | 9 | 3 | 0 | 6 | 12:17 | 9 |
| ლაუტერნი | 9 | 2 | 2 | 5 | 13:21 | 8 |
| მაინცი | 9 | 2 | 1 | 6 | 8:13 | 7 |
| აინტრახტი | 9 | 2 | 1 | 6 | 4:12 | 7 |
| დუისბურგი | 9 | 1 | 3 | 5 | 11:17 | 6 |
| ნიურნბერგი | 9 | 1 | 3 | 5 | 8:17 | 6 |



# ესპანეთი

ლადო ხომერიკი

# ღამურათა შემოსევის წინ...

| VIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბარსელონა | : | ოსასუნა |
| სევილია | : | ალავესი |
| **ხვალ** | | |
| ვილიარეალი | : | მალიორკა |
| კადისი | : | ბილბაო |
| სელტა | : | ესპანიოლი |
| სოსიედადი | : | დეპორტივო |
| ხეტაფე | : | სარაგოსა |
| მალაგა | : | ბეტისი |
| რეალი | : | ვალენსია |
| რასინგი | : | ატლეტიკო |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 7 | 5 | 0 | 2 | 17:6 | 15 |
| ოსასუნა | 7 | 5 | 0 | 2 | 9:5 | 15 |
| ხეტაფე | 7 | 4 | 2 | 1 | 11:7 | 14 |
| სელტა | 7 | 4 | 1 | 2 | 10:8 | 13 |
| ვალენსია | 7 | 3 | 3 | 1 | 12:10 | 12 |
| ბარსელონა | 7 | 2 | 4 | 1 | 14:10 | 10 |
| დეპორტივო | 7 | 2 | 4 | 1 | 9:8 | 10 |
| სოსიედადი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:14 | 10 |
| ვილიარეალი | 7 | 2 | 3 | 2 | 10:9 | 9 |
| კადისი | 7 | 2 | 3 | 2 | 6:6 | 9 |
| სევილია | 7 | 2 | 3 | 2 | 5:5 | 9 |
| ბეტისი | 7 | 2 | 3 | 2 | 5:7 | 9 |
| სარაგოსა | 7 | 1 | 5 | 1 | 8:7 | 8 |
| რასინგი | 7 | 2 | 2 | 3 | 3:4 | 8 |
| მალაგა | 7 | 2 | 1 | 4 | 8:10 | 7 |
| ატლეტიკო | 7 | 2 | 1 | 4 | 6:9 | 7 |
| ესპანიოლი | 7 | 2 | 1 | 4 | 5:9 | 7 |
| ალავესი | 7 | 1 | 3 | 3 | 7:11 | 6 |
| ბილბაო | 7 | 1 | 2 | 4 | 7:10 | 5 |
| მალიორკა | 7 | 1 | 2 | 4 | 7:14 | 5 |

**ესპანური** პრიმერადივიზიონის მერვე ტურის მთავარი შერკინება მადრიდულ „სანტიაგო ბერნაბეუზე" გაიმართება. ხვალ ვანდერლეი ლუშემბურგოს გალაქტიკური „რეალი" კიკე სანჩეს ფლორესის „ვალენსიას" უმასპინძლებს. „სამეფო გუნდი", რომელმაც შინაურ ჩემპიონატში „ატლეტიკო" და ჩემპიონთა ლიგაზე „რუსენბორგი" დაამარცხა, „მესტალიას" საომარ განწყობაზე დაუხვდება.

„რეალი" დღეს 15 ქულით პრიმერას ლიდერია, თუმც ამ მატჩზე მას სამი ძირითადი მეომარი დააკლდება — რონალდო, ჟულიო ბაპტისტა და მიჩელ სალგადო ტრავმირებულები არიან. ეს იმას ნიშნავს, რომ სასტარტო თერთმეტში რობინიოს, გუტისა და კარლოს დიოგოს სამეული გამოჩნდება.

„ვალენსია" პრიმერას ცხრილში მეხუთე ადგილზეა. კიკე ფლორესის ბიჭებმა წინა ტურში „მალაგას" მოუგეს და ახლა პირველ ადგილზე ასასვლელად 3 ქულაღა სჭირდება. მომხვდურთა შემადგენლობაში სავარაუდოდ მარჯვენა მცველის პოზიციაზე პორტუგალიელ მიგელ ბრიტუს მისივე თანამემამულე მარკო კანეირა შეცვლის. ძირითადში დაბრუნდება დავიდ ვილაც, რომელმაც პრიმერადივიზიონის წინა მატჩში სანქციის გამო ვერ იბურთავა. აიმარი, ალბელდა და დავიდ ნავარო გუშინდლამდე ცოტა უქეიფოდ იყვნენ, თუმც, „ვალენსიას" ექიმთა განცხადებით, ისინი უკვე გამოჯანმრთელდნენ და მრისხანე გალაქტიკოსებთან ომს სამივე მოახერხებს.

ამ ჯახთან დაკავშირებით ერთი საინტერესო დეტალიც უნდა გავიხსენოთ — „ღამურებმა" სტუმრად ბოლოს 2004 წლის 4 დეკემბერს „ალბასეტესთან" მოიგეს. მას შემდეგ შინაური არენის გარეთ „ვალენსია" სამ ქულას ვერაფრით ვერ იღებს...

დღეს „ბარსელონა" საკუთარ „კამპ ნოუზე" ძალებს მეორეადგილოსან „ოსასუნასთან" მოსინჯავს. ფრანკ რაიკაარდის გრანდმა ბოლო ორი შეხვედრა პრიმერაში და ევროსარბიელზე ფრედ დაამთავრა (2:2 „დეპორთან" და 0:0 „პანათინაიკოსთან"). ცხადია, კატალონიელები ხავიერ აგირეს გუნდთან მოგებას შეეცდებიან. მასპინძელთაგან ტრავმირებული დეკოა, ხოლო „ოსასუნაში" სოსას ბურთაობაა საეჭვო.

23 ოქტომბერს ფერნანდო ვასკესის „სელტა" უეფაზე მოსკოვის „ლოკომოტივის" დამმარცხებელ „ესპანიოლს" დაუხვდება. ვიგოელთა ბაიანოს მუხლი სტკივა და ალბათ ვერ ითამაშებს. გალისიურ „დეპორტივოს" „სოსიედადთან" გასვლით ჯახში ანდრადე და ტაბორდა დააკლდებიან, ზღვისპირელ ბასკებს კი მგლოვიარე დარკო კოვაჩევიჩი დაუბრუნდებათ (სერბს ცოტა ხნის წინ დედა გარდაეცვალა).



ვისენტეს დჭაგება ამჯერად „რეალს" მოუწევს

ჩემპიონთა ლიგაზე „ჩელსისთან" გაცამტვერებული „ბეტისი" ჯავრს ალბათ „მალაგაზე" იყრის. ხოლო „ალავესის" წინააღმდეგ საომრად გამზადებული „სევილიას" თავკაცობა აქამდე გატანილი გოლების მწირ მარაგს შეუშფოთებია.

„მართალია, წინა ტურში „ბილბაოს" მოვუგეთ, მაგრამ გუნდმა, რომლის რიგებშიც ფრედერიკ კანუტი, ხავიერ სავიოლა და ლუიშ ფაბიანო არიან, გაცილებით მეტი გოლი უნდა გაიტანოს" — აღნიშნა ხუანდე რამოსმა, ანდალუზიელთა მწვრთნელმა.

**წინა ტურის სიმბოლური ნაკრები** 4-4-2

| | |
|---|---|
| მილოშევიჩი | ოსასუნა |
| რონალდო | რეალი |
| რონალდინიო | ბარსელონა |
| პრიეტო | სოსიედადი |
| ვისენტე | ვალენსია |
| დ. ალვესი | სევილია |
| ისკიერდო | ოსასუნა |
| აიალა | ვალენსია |
| ს. რამოსი | რეალი |
| ვარელა | კადისი |
| პალოპი | სევილია |

გუნდი: ოსასუნა

მწვრთნელი: ხავიერ აგირე (ოსასუნა)

# მისტერ ჩელსკის ოცნებები



**რომან აბრამოვიჩმა** თქვა, რომ „ჩელსის" იმგვარად აშენებს, რომ ეს კლუბი უახლოეს ას წელიწადს მსოფლიოს ფეხბურთის მბრძანებელი იქნება.

რუსმა მილიარდერმა განაცხადა, რომ მისი სტრატეგია იმგვარია, რომ სურს შექმნას ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე წარმატებული კლუბი.

„ჩელსის ტრადიციები არ უნდა გაქრეს, მაგრამ ბევრი ახალი, ძლიერი რამეც უნდა შეემატოს," თქვა რუსმა.

აბრამოვიჩმა უკვე დახარჯა 240 მილიონი გირვანქა ფეხბურთელებში, მას შემდეგ, რაც 140 მილიონად იყიდა „ჩელსი" 2003 წლის ზაფხულში.

„როცა „ჩელსის" ვყიდულობდი, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ეს ამბავი ასეთი ჩამთრევი და საოცარი იქნებოდა ჩემთვის" — ჰყვება აბრამოვიჩი — ჯერ ეს ერთი, მე მინდოდა, რომ კლუბის საუკუნოვან იუბილეს ჩემპიონებად შევგებებოდით. ეს ოცნება ახდა. ნახევარი საუკუნის თავზე მეორედ გავხდით ჩემპიონები. ახლა გვინდა, რომ ას წელიწადში მოპოვებულ ტიტულებს, სულ რამდენიმე წელიწადში შევმატოთ ერთიორად მეტი ტიტული. კვლავ ჩემპიონობა და ევროპა. აი, ჩვენი მიზანი".

**ირაკლი გამყრელიძე**



ფილიპ ტრუსიე



დიდიე დეშანი

# ბუტრაგენიო, რობინიოს მფარველი



**მადრიდის** „რეალის" ვიცე-პრეზიდენტმა ემილიო ბუტრაგენიომ გალაქტიკოსთა ნორჩი ვარსკვლავი რობინიო პრესის შეტევისგან დაიცვა — საქმე იმაშია, რომ ესპანელთა მედიაში ბრაზილიელის ბოლოჟამინდელი ბურთაობა არ მოეწონათ, ჟურნალისტები რობინიოს მოედანზე წრეგასულ ფინტაობა-ინდივიდუალიზმს სწამებენ. „არ მესმის რობინიოს რატომ აკრიტიკებენ. ამ ბიჭმა „რეალში" თამაში იღბლიანად დაიწყო და თავის სიტყვას მომავალშიც იტყვის" — განაცხადა ემილიო ბუტრაგენიომ „მარკასთან" ინტერვიუში.

„რეალს" მისი ოკენისგალმელი „გალაქტიკო" რონალდო ტრავმის გამო კარგა ხნით ვერ დაეხმარება. კიჭას ახალბედა რობინიო ჩაენაცვლება.

„მადრიდის „რეალს" ტრავმებზე წუწუნი არ შეჰფერის. მართალია, დაშავებული რონალდო და ჟულიო ბაპტისტა არ ითამაშებენ, მაგრამ მათი შემცვლელის მონახვაც თავისუფლად შეგვიძლია" — დასძინა ბუტრაგენიომ.

**ლადო ხომერიკი**

# მაროკო ფრანგებს მიადგა

**მაროკოს** ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების მწვრთნელობა დიდიე დეშანს და ფილიპ ტრუსიეს შესთავაზა. მაროკოელები ბადუ ძაკის შემცვლელს ეძებენ, რომელიც ამ კვირას დასაწყისში გაათავისუფლეს, რადგან გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გაიყვანა. ფედერაციის ჩინოვნიკებს სურთ, რომ ნაკრებს მწვრთნელი აფრიკის ერთვნულთა თასის გათამაშებას დაწყებამდე გამოუნახონ.

დიდიე დეშანი „მონაკოს" თავკაცობდა და ცუდი შედეგების გამო სექტემბერში დაითხოვეს. რაც შეეხება ფილიპ ტრუსიეს, იანვრიდან „მარსელის" მწვრთნელი იყო და ივნისში გაუშვეს.

ტრუსიეს მაროკოში სახლიც აქვს და აფრიკულ გუნდებთან მუშაობის გამოცდილებაც. იგი კოტ დივუარის, ნიგერიის, ბურკინა ფასოსა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებებში მუშაობდა. მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე მის ხელში იაპონიამ მეოთხედფინალში გააღწია, მერე კი ყატარის ეროვნული გუნდი ჩაიბარა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# იტალია

კოკი კანდელაკი

# იქ, სადაც ყველა გზა მიდის

**VIII ტური**

**დღეს**

| | | |
|---|---|---|
| მესინა | : | ასკოლი |
| ფიორენტინა | : | პარმა |

**ხვალ**

| | | |
|---|---|---|
| კიევო | : | კალიარი |
| ლეჩე | : | იუვენტუსი |
| ლივორნო | : | რეჯინა |
| მილანი | : | პალერმო |
| რომა | : | ლაციო |
| სამპდორია | : | სიენა |
| ტრევიზო | : | ემპოლი |
| უდინეზე | : | ინტერი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 7 | 7 | 0 | 0 | 13:2 | 21 |
| მილანი | 7 | 5 | 1 | 1 | 13:5 | 16 |
| ინტერი | 7 | 5 | 0 | 2 | 15:5 | 15 |
| ფიორენტინა | 7 | 4 | 1 | 2 | 14:10 | 13 |
| ლაციო | 7 | 4 | 1 | 2 | 10:9 | 13 |
| სამპდორია | 7 | 4 | 0 | 3 | 14:10 | 12 |
| პალერმო | 7 | 3 | 3 | 1 | 13:12 | 12 |
| უდინეზე | 7 | 4 | 0 | 3 | 10:9 | 12 |
| კიევო | 7 | 3 | 2 | 2 | 8:6 | 11 |
| ლივორნო | 7 | 3 | 2 | 2 | 7:9 | 11 |
| სიენა | 7 | 3 | 1 | 3 | 14:14 | 10 |
| ემპოლი | 7 | 3 | 1 | 3 | 7:9 | 10 |
| ასკოლი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 | 9 |
| რომა | 7 | 2 | 2 | 3 | 9:6 | 8 |
| რეჯინა | 7 | 2 | 0 | 5 | 8:12 | 6 |
| პარმა | 7 | 1 | 2 | 4 | 6:12 | 5 |
| ლეჩე | 7 | 1 | 1 | 5 | 5:11 | 4 |
| მესინა | 7 | 0 | 3 | 4 | 6:13 | 3 |
| კალიარი | 7 | 0 | 3 | 4 | 4:12 | 3 |
| ტრევიზო | 7 | 0 | 2 | 5 | 2:12 | 2 |

**ხვალ** სერია A-ში მსოფლიოს ფეხბურთის ერთ-ერთი მთავარი მატჩი, რომაული დერბი გაიმართება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იტალიის დედაქალაქი ისევ ორ ნაწილად გაიყოფა, ათიათასობით ტიფოზი ამდენივე მაშხალას დახარჯავს. იქნება გამომწვევი ტრანსპარანტები, გადაკეტილი ქუჩები, დროშების ფრიალი და ალბათ ტრადიციული ჩხუბიც. ეს ყველაფერი ამ დიდი მატჩის შემადგენელი ნაწილია, რომლის გარშემოც უკვე საკმაო ხანია, აჟიოტაჟი დაიწყო და, სულ ცოტა, მომავალი კვირის ბოლომდე გასტანს.

ფორმალური მასპინძელი „რომაა“, რომლის რიგებშიც ვითარება ისევ არეულია, რაც „გლადიატორების“ თამაშზეც აისახება. ლუჩანო სპალეტის გუნდს 7 მატჩში ოდენ 8 ქულა აქვს. იდეალურად არც „ლაციოს“ საქმეა. თუმც ეს ყველაფერი ამ დაპირისპირებას პეწს ნამდვილად ვერ უკარშავს და ხვალ ყველა გზა „სტადიო ოლიმპიკოზე“ მიდის.

„რომას“ რიგებში თანაქალაქელთან შედარებით ბევრად მეტი ვარსკვლავი და მაღალხელფასიანი ფეხბურთელია, მაგრამ კლუბის საქმეები ჯერ ვერ გამოსწორდა. „ლაციოში“ კი უფრო მეტი ახალგაზრდაა და დღეს უკეთ სწორედ დელიო როსის ბიჭები ბურთაობენ. შინ გამართული 4 შეხვედრიდან მათ ყველა მოიგეს, „გლადიატორებმა“ კი „სტადიო ოლიმპიკოზე“ სამი მატჩი გამართეს და აქედან ორში დამარცხნენ. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, სპეციალისტები ცოტა უფრო მეტად „ლაციოს“ შანსებს აფასებენ. თუმც რომაულ დერბიში ყოველგვარი პროგნოზი და სტატისტიკის მოშველიება ფუჭი საქმეა.

აპენინური პრესა კიდევ ერთ კითხვას სვამს — რომელი კლუბის სიმბოლო აჯობებს, „რომას“ ფრანჩესკო ტოტი თუ „ლაციოს“ პაოლო დი კანიო? ბოლოს ეს დი კანიომ შეძლო, რომელმაც ყველა მაჩტი ცუდად, რომ ჩაატაროს რომაულ დერბიში მის სათადარიგოთა სკამზე დასმას ვერავინ გაბედავს, რადგანაც „რომას“ წინააღმდეგ მატჩებს ვეტერანი, მისსავე სიტყვებს თუ დავიხმართ, მთელი წელი ელოდება და ისედაც ემოციური ფეხბურთელი გაათმაგებული ენერგიით ბურთაობს.

„რომას“ სავარაუდოდ ლეანდრო კუფრე და ალბერტო აკილანი არ ეყოლება. „ლაციოს“ ლაზარეთში კი ორჯერ მეტი მოთამაშეა — მატეო სერენი, რობერტო ბარონიო, გაბი მუდინგაი და ფელიჩე პიკოლო. საეჭვოა სეზარის თამაშიც, მაგრამ ექიმები ვარაუდობენ, რომ ბრაზილიელი საკმაოდ ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ მატჩამდე სრულად მომჯობინებას მოასწრებს. ფორმალური მასპინძლების შემტევი წყვილი ალბათ ტადეი-ნონდა იქნება, ცხადია, მათზე ცოტა უკან განლაგებული ფრანჩესკო ტოტის თანხლებით. მოგვიანებით კი თამაშში წესით ვინჩენცო მონტელაც უნდა ჩაერთოს, რომელსაც „ლაციოს“ კარში მრავალი გოლი გაუტანია. იგი ახლაც იგივეს გაკეთებას აპირებს და ირწმუნება, ჩვენ „ლაციოზე“ უკეთესები ვართო.

„ლაციო“ ახლა ჩვენზე სახარბიელო ვითარებაშია რიგი მიზეზების გამო. თუმც, სიმართლე რომ ვთქვათ, რეალურად „რომა“ უკეთესი გუნდია და იმედია, ეს გამოჩნდება კიდეც. რაც შეეხება ტოტისა და დი კანიოს, ფრანჩესკო კარგი ადამიანი და დიდებული ფეხბურთელია, ხოლო პაოლოს ახლოს არ ვიცნობ, მაგრამ პროვაკატორის შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც არასასიმოვნოა. თუმც მის კლასში ეჭვი არ შემაქვს“ — აღნიშნა მონტელამ.

რომაული დერბის ფონზე ტურის სხვა მატჩები შედარებით უფერულდება, მაგრამ მათი უყურადღებოდ დატოვება ნამდვილად არ ეგების. გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი „იუვენტუსი“ „ლეჩეს“ ესტუმრება და მერვე მატჩის მოგების შემთხვევაში 1985-86 წლების სეზონში ჯოვანი ტრაპატონის თავკაცობით დამაყრებულ რეკორდს გაიმეორებს.

„ბაიერნთან“ სეზონში პირველი მატჩის წაგების შემდეგ „ვია დე მარიზე“ მოგება „ბებერ ქალბატონს“ გუნებას გამოუსწორებს. ფაბიო კაპელოს გადაწყვეტილებით, ძირითადში ისევ არ იქნება ალექს დელ პიერო, ხოლო ლაზარეთში გადანაცვლებულ პატრიკ ვიეირას კვლავაც ჯულანო ჯანიკედა შეცვლის. ფრანგს ტრავმა უფრო სერიოზული გამოდგა, ვიდრე ელოდნენ და ეგებ მას თვის ბოლოს „მილანთან“ ჯახის გამოტოვებაც მოუხდეს. „ლეჩეს“ კი მხოლოდ გილერმო ჯაკომაცი დააკლდება.

სასიხარულო ამბავია „მილანის“ ბანაკში — ანდრეი შევჩენკოს ტრავმა მსუბუქია და იგი ალბათ „პალერმოს“ წინააღმდეგ ითამაშებს კიდეც. მისი მეწყვილე კი სავარაუდოდ ალბერტო ჯილარდინო იქნება. მათ უკან კაკაც ნაცვლად ძირითადში ალბათ რუი კოშტა იბურთავებს. ალესანდრო ნესტა და მასიმო ამბროზინი ისევ დაშავებულნი არიან. ხოლო „პალერმოს“, რომელიც გასულ სეზონში „როსონერის“ ორჯერვე დაუზავდა, სალვატორე მასიელო, ჯუზეპე ბიავა და მატეო გვარდალბენი არ ეყოლება.

ჩემპიონთა ლიგაში „ინტერმა“ „პორტუსთან“ წააგო. ხოლო „უდინეზე“ ბოლო წუთებზე გადაურჩა საშინაო მარცხს „ვერდერთან“. შესაბამისად, ამან მილანელი და უდინელი ქომაგების წყრომა გამოიწვია. მათ დასამშვიდებლად კი ორივე გუნდს გამარჯვება სჭირდება. „ნერო ადზურის“ მთავარი იმედი ისევ ძირითადში დაბრუნებული ადრიანო იქნება. რობერტო მანჩინი კვლავ ვერ დაიხმარს დაშავებულ დეიან სტანკოვიჩს, ხავიერ ძანეტის და მის მოგვარე კრისტიანს. მასპინძლებს კი გარკვეული პრობლემები ნახევარდაცვაში აქვთ — ხოსე ლუის ვიდიგალი და კრისტიან ობოდო დისკვალიფიცირებულნი არიან.



ფრანჩესკო ტოტი „ლაციოსთან“ თავს არ დაზოგავს



პაოლო დი კანიო (მარჯვნივ) „რომასთან“ მატჩისთვის საგანგებოდ ემზადება



# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15:45 | 3 | ბლექბერნი-ბირმინგემი | 2.05 | 3.20 | 3.35 | 1.24 | 1.27 | 1.63 |
| 18:00 | 5 | არსენალი-სიტი | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 18:00 | 6 | ფულჰემი-ლივერპული | 3.30 | 3.20 | 2.10 | 1.62 | 1.28 | 1.26 |
| 18:00 | 7 | მანჩესტერი-ტოტენჰემი | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 18:00 | 8 | ასტონ ვილა-უიგანი | 2.00 | 3.10 | 3.70 | 1.21 | 1.29 | 1.68 |
| 20:15 | 10 | პორტსმუთი-ჩარლტონი | 2.70 | 3.10 | 2.50 | 1.44 | 1.29 | 1.38 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 4 | ვესტ ჰემი-მიდლსბრო | 2.25 | 3.20 | 2.95 | 1.32 | 1.27 | 1.53 |
| 18:00 | 9 | ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1.70 | 3.40 | 4.80 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| 16:30 | 11 | ნიუკასლი-სანდერლენდი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 19:00 | 12 | ევერტონი-ჩელსი | 7.50 | 4.10 | 1.40 | 2.65 | 1.17 | 1.04 |
| 19:00 | 13 | ევერტონი-ჩელსი 1:0 | 3.20 | 3.80 | 1.85 | | | |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 27 | მილუოლი-საუთჰემპტონი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 18:00 | 28 | ვულვერჰემპტონი-პრესტონი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 18:00 | 29 | იპსვიჩი-უოტფორდი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 18:00 | 30 | კრისტალ პალასი-ბარნსლი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 18:00 | 32 | კარდიფი-ჰალი | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 18:00 | 33 | ლუტონი-დერბი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 18:00 | 34 | სტოუკი-რედინგი | 2.80 | 3.20 | 2.20 | 1.49 | 1.23 | 1.30 |
| 18:00 | 35 | ლიდსი-პლიმუთი | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 18:00 | 36 | ქპრ-ნორვიჩი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 31 | ლესტერი-ქოვენტრი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **24 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 37 | შეფილდი-ბრაიტონი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 38 | როტერჰემი-სუონსი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 18:00 | 39 | ჰარტლპული-დონსი | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 40 | უოლსოლი-დონკასტერი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 18:00 | 41 | ჩესტერფილდი-ჰადერსფილდი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 18:00 | 42 | ბრედფორდი-ჯილინგემი | 1.80 | 3.30 | 3.70 | 1.16 | 1.21 | 1.74 |
| 18:00 | 43 | ტრანმერი-კოლჩესტერი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 44 | ოლდჰემი-ბრისტოლი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 18:00 | 45 | ბლეკპული-ბრენტფორდი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 18:00 | 46 | სვინდონი-ბარნსლი | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.14 | 1.20 | 1.78 |
| 18:00 | 47 | საუთენდი-სკანთორპი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 18:00 | 48 | ბორნმუთი-პორტ ვეილი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 49 | იოვილი-ნოტინგემი | 2.35 | 3.30 | 2.60 | 1.37 | 1.23 | 1.45 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 50 | სტოკპორტი-ნორთჰემპტონი | 2.75 | 3.10 | 2.30 | 1.45 | 1.25 | 1.32 |
| 18:00 | 51 | გრიმსბი-ლინკოლნი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 18:00 | 52 | ტორკი-მაკლსფილდი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 18:00 | 53 | პიტერბორო-[illegible] | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 54 | რაშდენი-შრუსბერი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 18:00 | 55 | მანსფილდი-ბარნეტი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 56 | ნოტსი-კარლაილი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 57 | დარლინგტონი-ჩელტენჰემი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 18:00 | 58 | ჩესტერი-ბერი | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 18:00 | 59 | როჩდეილი-რექსემი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 60 | ლეიტონი-უიკომი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 18:00 | 61 | ოქსფორდი-ბოსტონი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 62 | ლივინგსტონი-ინვერნესი | 2.75 | 3.30 | 2.15 | 1.50 | 1.20 | 1.30 |
| 18:00 | 63 | აბერდინი-კილმარნოკი | 2.35 | 3.10 | 2.65 | 1.33 | 1.24 | 1.42 |
| 18:00 | 64 | ფალკირკი-დანდი იუნაიტედი | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| 18:00 | 65 | ჰარტსი-დანფერმლაინი | 1.25 | 4.60 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 2.98 |
| 18:00 | 66 | ჰარტსი-დანფერმლაინი 0:1 | 1.50 | 4.30 | 4.10 | | | |
| 18:00 | 67 | რეინჯერსი-მაზერველი | 1.25 | 4.60 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 2.98 |
| 18:00 | 68 | რეინჯერსი-მაზერველი 0:1 | 1.55 | 4.30 | 4.00 | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 69 | კილმარნოკი-სელტიკი | 7.00 | 4.30 | 1.35 | 2.66 | 1.13 | 1.02 |
| 17:00 | 70 | კილმარნოკი-სელტიკი 1:0 | 3.70 | 3.90 | 1.55 | 1.89 | 1.09 | 1.10 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 71 | კლაიდი-როსი | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |
| 18:00 | 72 | ქუინი-სტ.ჯონსტონი | 3.20 | 3.30 | 1.95 | 1.62 | 1.21 | 1.22 |
| 18:00 | 73 | ეირი-სტრანრაერი | 2.10 | 3.40 | 2.85 | 1.29 | 1.20 | 1.55 |
| 18:00 | 74 | სტ.მირენი-დანდი | 2.10 | 3.30 | 2.85 | 1.28 | 1.20 | 1.52 |
| 18:00 | 75 | ჰამილტონი-ბრეჩინი | 1.45 | 3.80 | 5.50 | 1.04 | 1.14 | 2.24 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 76 | დამბარტონი-ეარი | 2.65 | 3.30 | 2.25 | 1.46 | 1.21 | 1.33 |
| 18:00 | 77 | პეტერჰედი-ალოა | 2.20 | 3.30 | 2.75 | 1.32 | 1.22 | 1.50 |
| 18:00 | 78 | სტირლინგი-პარტიკი | 4.00 | 3.60 | 1.65 | 1.89 | 1.16 | 1.13 |
| 18:00 | 79 | რეითი-მორტონი | 2.75 | 3.30 | 2.15 | 1.50 | 1.20 | 1.30 |
| 18:00 | 80 | ფორფარი-გრეტნა | 4.50 | 3.60 | 1.60 | 2.00 | 1.18 | 1.10 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 81 | მონტროზი-ელგინი | 2.05 | 3.50 | 2.85 | 1.29 | 1.19 | 1.57 |
| 18:00 | 82 | სტენჰაუსმუირი-ქუინს პარკი | 1.65 | 3.50 | 4.00 | 1.12 | 1.16 | 1.86 |
| 18:00 | 83 | არბროთი-ალბიონი | 1.60 | 3.90 | 4.20 | 1.13 | 1.15 | 2.02 |
| 18:00 | 84 | ბერვიკი-ისტ ფაიფი | 1.65 | 3.50 | 4.00 | 1.12 | 1.16 | 1.86 |
| 18:00 | 85 | კოუდენბითი-ისტ სტერლინგი | 1.30 | 4.50 | 7.00 | 1.00 | 1.09 | 2.73 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:30 | 87 | ჰანოვერი-ვერდერი | 3.20 | 3.30 | 2.10 | 1.62 | 1.26 | 1.28 |
| 17:30 | 89 | ჰერტა-მაინცი | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| 17:30 | 90 | გლადბახი-ლაუტერნი | 1.80 | 3.40 | 4.20 | 1.17 | 1.25 | 1.87 |
| 17:30 | 91 | აინტრახტი-კიოლნი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 17:30 | 92 | ვოლფსბურგი-შალკე | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 17:30 | 93 | ნიურნბერგი-არმინია | 2.00 | 3.30 | 3.40 | 1.24 | 1.25 | 1.67 |
| 17:30 | 96 | ბაიერნი-დუისბურგი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 17:30 | 97 | ბაიერნი-დუისბურგი 0:1 | 1.50 | 4.70 | 4.00 | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:30 | 86 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 2.10 | 3.10 | 3.40 | 1.25 | 1.29 | 1.62 |
| 19:30 | 94 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:15 | 99 | ზიგენი-მიუნხენი 1860 | 2.80 | 3.20 | 2.20 | 1.49 | 1.23 | 1.30 |
| 17:00 | 100 | უნტერჰაჰინგი-ალენი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 17:00 | 103 | ზაარბრიუკენი-კოტბუსი | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 17:00 | 105 | კარლსრუე-ჰანზა | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 17:00 | 106 | აუე-ფიურტი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:00 | 109 | ზტ.პაული-ოსნაბრიუკი | 2.15 | 3.30 | 2.70 | 1.30 | 1.19 | 1.48 |
| 16:00 | 110 | ლიუბეკი-ჰერტა(მ) | 1.60 | 3.70 | 4.20 | 1.11 | 1.15 | 1.96 |
| 16:00 | 111 | ერფურტი-ქემნიცი | 1.75 | 3.60 | 3.50 | 1.17 | 1.16 | 1.77 |
| 16:00 | 112 | ობერჰაუზენი-ვუპერტალი | 3.10 | 3.30 | 2.00 | 1.59 | 1.21 | 1.24 |
| 16:00 | 113 | ემდენი-მიუნსტერი | 1.85 | 3.40 | 3.30 | 1.19 | 1.18 | 1.67 |
| 16:00 | 114 | ვერდერი(მ)-[illegible] | 2.40 | 3.30 | 2.40 | 1.38 | 1.20 | 1.38 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:00 | 115 | ჰამბურგი(მ)-კილი | 2.90 | 3.40 | 2.00 | 1.56 | 1.18 | 1.25 |
| 16:00 | 116 | კიოლნი(მ)-ვატენშაიდი | 2.40 | 3.30 | 2.40 | 1.38 | 1.20 | 1.38 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:30 | 122 | რეგენსბურგი-ლაუტერნი(მ) | 1.80 | 3.40 | 3.50 | 1.17 | 1.18 | 1.72 |
| 16:30 | 123 | ვეჰენი-კარლსრუე(მ) | 1.80 | 3.40 | 3.50 | 1.17 | 1.18 | 1.72 |
| 16:30 | 124 | ელვერსბერგი-კობლენცი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 125 | ბაიერნი(მ)-[illegible] | 1.60 | 3.50 | 4.60 | 1.09 | 1.18 | 1.98 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:30 | 126 | პაშინგი-ტიროლი | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 20:30 | 127 | მატერსბურგი-ადმირა | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 20:30 | 128 | გრაცერი-რიდი | 1.55 | 3.60 | 5.30 | 1.08 | 1.19 | 2.14 |
| 20:30 | 129 | აუსტრია-რაპიდი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:30 | 130 | ზალცბურგი-შტურმი | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 137 | მესინა-ასკოლი | 1.95 | 3.20 | 3.70 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| 22:30 | 142 | ფიორენტინა-პარმა | 1.50 | 3.80 | 6.00 | 1.07 | 1.20 | 2.32 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 136 | ტრევიზო-ემპოლი | 2.30 | 3.00 | 3.10 | 1.30 | 1.32 | 1.52 |
| 17:00 | 138 | უდინეზე-ინტერი | 3.80 | 3.20 | 1.95 | 1.73 | 1.28 | 1.21 |
| 17:00 | 139 | კიევო-კალიარი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.60 |
| 17:00 | 140 | მილანი-პალერმო | 1.35 | 4.30 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.85 |
| 17:00 | 141 | მილანი-პალერმო 0:1 | 1.85 | 3.90 | 3.10 | | | |
| 17:00 | 144 | ლივორნო-რეჯინა | 1.85 | 3.10 | 4.30 | 1.15 | 1.29 | 1.80 |
| 17:00 | 145 | სამპდორია-სიენა | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 22:30 | 146 | რომა-ლაციო | 2.45 | 3.00 | 2.80 | 1.34 | 1.30 | 1.34 |
| 17:00 | 147 | ლეჩე-იუვენტუსი | 6.50 | 3.60 | 1.50. | 2.31 | 1.21 | 1.05 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 569 | ალბინოლეფე-პესკარა | 1.90 | 2.90 | 4.00 | 1.14 | 1.28 | 1.68 |
| 18:00 | 570 | არეცო-კატანძარო | 1.55 | 3.20 | 6.50 | 1.04 | 1.25 | 2.14 |
| 18:00 | 571 | აველინო-რიმინი | 2.15 | 2.80 | 3.40 | 1.21 | 1.31 | 1.53 |
| 18:00 | 572 | ბრეშა-ბარი | 1.85 | 2.80 | 4.50 | 1.11 | 1.31 | 1.72 |
| 18:00 | 573 | კრემონეზე-მანტოვა | 3.00 | 2.80 | 2.35 | 1.44 | 1.31 | 1.27 |
| 18:00 | 574 | კროტონე-ატალანტა | 2.40 | 2.90 | 2.85 | 1.31 | 1.30 | 1.43 |
| 18:00 | 575 | მოდენა-ვერონა | 1.80 | 2.90 | 4.70 | 1.11 | 1.30 | 1.79 |
| 18:00 | 576 | ტორინო-პიაჩენცა | 1.55 | 3.30 | 6.00 | 1.05 | 1.23 | 2.12 |
| 18:00 | 577 | ვიჩენცა-ტერნანა | 1.95 | 2.90 | 3.80 | 1.16 | 1.28 | 1.64 |
| | | **იტალია. სერია C1/A** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 151 | პრო სესტო-ჯენოა | 4.30 | 2.70 | 1.95 | 1.65 | 1.34 | 1.13 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 152 | სალერნიტანა-[illegible] | 1.90 | 2.70 | 4.50 | 1.11 | 1.33 | 1.68 |
| 17:00 | 153 | სამბენედეტეზე-ლუმეცანე | 2.10 | 2.70 | 3.60 | 1.18 | 1.32 | 1.54 |
| 17:00 | 154 | პიციგეტონე-პადოვა | 2.65 | 2.60 | 2.85 | 1.31 | 1.37 | 1.35 |
| 17:00 | 155 | პრო პატრია-მონცა | 2.70 | 2.70 | 2.65 | 1.35 | 1.33 | 1.33 |
| 17:00 | 156 | ფერმანა-რავენა | 2.35 | 2.60 | 3.20 | 1.23 | 1.35 | 1.43 |
| 17:00 | 157 | ნოვარა-პავია | 2.10 | 2.70 | 3.60 | 1.18 | 1.32 | 1.54 |
| 17:00 | 158 | ჯულიანოვა-სან მარინო | 1.85 | 2.60 | 5.20 | 1.08 | 1.36 | 1.73 |
| 17:00 | 159 | სპეცია-ტერამო | 1.60 | 3.00 | 6.50 | 1.04 | 1.28 | 2.05 |
| | | **იტალია. სერია C1/B** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 162 | ლუკეზე-პისტოიეზე | 1.70 | 2.80 | 5.50 | 1.05 | 1.29 | 1.85 |
| 17:00 | 163 | მარტინა-ნაპოლი | 4.20 | 2.60 | 2.00 | 1.60 | 1.35 | 1.13 |
| 17:00 | 164 | ტორესი-[illegible] | 2.10 | 2.70 | 3.50 | 1.18 | 1.31 | 1.52 |
| 17:00 | 165 | ლანჩანო-ფოჯა | 2.00 | 2.70 | 4.10 | 1.14 | 1.34 | 1.62 |
| 17:00 | 166 | სტაბია-[illegible] | 1.85 | 2.80 | 4.60 | 1.11 | 1.31 | 1.71 |
| 17:00 | 167 | მანფრედონია-მასესე | 1.70 | 2.80 | 5.80 | 1.05 | 1.31 | 1.88 |
| 17:00 | 168 | გუალდო-[illegible] | 2.35 | 2.60 | 3.20 | 1.23 | 1.35 | 1.43 |
| 17:00 | 169 | პერუჯა-სანჯოვანეზე | 2.05 | 2.70 | 3.90 | 1.16 | 1.34 | 1.59 |
| | | **24 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 161 | გროსეტო-პიზა | 1.95 | 2.70 | 4.30 | 1.13 | 1.34 | 1.65 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 171 | ბარსელონა-ოსასუნა | 1.35 | 4.30 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.85 |
| 22:00 | 178 | სევილია-ალავესი | 1.70 | 3.40 | 4.70 | 1.13 | 1.24 | 1.97 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**ზუგდიდში გაიხსნა „კროკოს" ოფისი. მისამართი: გამსახურდიას, 41**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:00 | 170 | რეალი-ვალენსია | 1.65 | 3.50 | 4.80 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| 19:00 | 172 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.60 | 3.40 | 5.80 | 1.08 | 1.25 | 2.14 |
| 19:00 | 173 | სოსიედადი-დეპორტივო | 2.50 | 3.10 | 2.65 | 1.38 | 1.28 | 1.42 |
| 19:00 | 174 | ხეტაფე-სარაგოსა | 2.20 | 3.00 | 3.30 | 1.26 | 1.32 | 1.57 |
| 19:00 | 176 | სელტა-ესპანიოლი | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| 19:00 | 179 | კადისი-ბილბაო | 2.25 | 3.00 | 3.20 | 1.28 | 1.32 | 1.54 |
| 21:00 | 180 | რასინგი-ატლეტიკო | 2.60 | 3.00 | 2.65 | 1.39 | 1.31 | 1.40 |
| 19:00 | 181 | მალაგა-ბეტისი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:30 | 186 | [illegible] | 1.85 | 3.10 | 3.90 | 1.15 | 1.25 | 1.72 |
| 20:30 | 192 | ქსერესი-მალაგა ბ | 1.95 | 2.90 | 3.85 | 1.16 | 1.29 | 1.65 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 14:00 | 182 | მურსია-ალბასეტე | 2.00 | 3.00 | 3.60 | 1.20 | 1.28 | 1.63 |
| 20:00 | 183 | ტენერიფე-პოლიეხიდო | 1.85 | 3.10 | 3.90 | 1.15 | 1.25 | 1.72 |
| 20:00 | 184 | ფეროლი-ელჩე | 2.55 | 2.90 | 2.60 | 1.35 | 1.28 | 1.37 |
| 19:00 | 185 | ვალიადოლიდი-ნუმანსია | 2.10 | 2.90 | 3.40 | 1.21 | 1.29 | 1.56 |
| 20:00 | 187 | ხიმნასტიკი-ხიხონი | 2.55 | 2.90 | 2.60 | 1.35 | 1.28 | 1.37 |
| 19:00 | 188 | ეიბარი-კასტელიონი | 2.00 | 2.90 | 3.70 | 1.18 | 1.29 | 1.62 |
| 19:30 | 189 | ლევანტე-რეალი(მ) | 1.85 | 3.10 | 3.90 | 1.15 | 1.25 | 1.72 |
| 20:00 | 190 | ლეიდა-სიუდადი | 2.25 | 2.90 | 3.00 | 1.26 | 1.28 | 1.47 |
| 20:00 | 191 | ლორკა-ალმერია | 2.10 | 2.90 | 3.40 | 1.21 | 1.29 | 1.56 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:15 | 193 | მეცი-ლიონი | 5.00 | 3.30 | 1.65 | 1.98 | 1.24 | 1.10 |
| 22:00 | 195 | ნიცა-ოსერი | 2.45 | 2.90 | 2.85 | 1.32 | 1.31 | 1.43 |
| 22:00 | 196 | ტულუზა-ბორდო | 2.40 | 2.80 | 3.10 | 1.29 | 1.35 | 1.47 |
| 22:00 | 201 | პსჟ-ნანსი | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 22:00 | 203 | ლილი-ნანტი | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 198 | ლე მანი-სტრასბურგი | 2.10 | 3.00 | 3.40 | 1.23 | 1.29 | 1.59 |
| 20:00 | 199 | აიაჩო-რენი | 2.30 | 2.90 | 3.10 | 1.28 | 1.32 | 1.49 |
| 20:00 | 200 | ტროა-ლანსი | 2.55 | 2.80 | 2.90 | 1.33 | 1.35 | 1.42 |
| 20:00 | 204 | სოშო-მონაკო | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| 22:45 | 205 | სენტეტიენი-მარსელი | 2.30 | 2.90 | 3.10 | 1.28 | 1.32 | 1.49 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **24 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:30 | 217 | ისტრი-ბასტია | 2.75 | 2.80 | 2.55 | 1.38 | 1.32 | 1.33 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 220 | ვესტერლო-ლოკერენი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 22:00 | 221 | გენკი-მუსკრონი | 1.50 | 3.80 | 5.80 | 1.07 | 1.19 | 2.29 |
| 22:00 | 222 | გენტი-მონსი | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 22:00 | 223 | ვარეგემი-სენტ-ტრუიდენი | 1.75 | 3.40 | 3.90 | 1.15 | 1.20 | 1.81 |
| 22:00 | 224 | სერკლი-რუსელარე | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 22:00 | 225 | ბეერშოტი-ბრიუსელი | 2.15 | 3.30 | 3.00 | 1.30 | 1.25 | 1.57 |
| 22:30 | 226 | ლიერსი-ლოკერენი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 227 | ანდერლეხტი-ბრიუგე | 1.85 | 3.40 | 3.70 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:00 | 228 | ვირტონი-მონსი | 2.60 | 3.10 | 2.35 | 1.41 | 1.23 | 1.33 |
| 22:00 | 229 | მეხელენი-ტუბიზე | 2.30 | 3.10 | 2.70 | 1.32 | 1.24 | 1.44 |
| 22:00 | 230 | [illegible] | 2.30 | 3.10 | 2.65 | 1.32 | 1.23 | 1.42 |
| 22:00 | 231 | ვაასლანდი-რონსე | 1.90 | 3.20 | 3.35 | 1.19 | 1.21 | 1.63 |
| 22:00 | 232 | ლომელი-დეინზე | 1.55 | 3.50 | 4.70 | 1.07 | 1.16 | 2.00 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 233 | [illegible] | 2.30 | 3.10 | 2.65 | 1.32 | 1.23 | 1.42 |
| 17:00 | 234 | [illegible] | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 17:00 | 235 | [illegible] | 2.10 | 3.10 | 2.90 | 1.25 | 1.21 | 1.49 |
| 17:00 | 236 | [illegible] | 2.35 | 3.10 | 2.60 | 1.33 | 1.23 | 1.41 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:30 | 238 | რკ ვალვეიკი-ვიტესი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 21:30 | 239 | ბრედა-ტვენტე | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 22:00 | 240 | სპარტა-როდა | 2.45 | 3.40 | 2.40 | 1.42 | 1.21 | 1.40 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 14:30 | 241 | პსვ-აიაქსი | 1.80 | 3.40 | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| 16:30 | 242 | ვოლენდამი-ჰეერენვეენი | 3.70 | 3.30 | 1.85 | 1.74 | 1.23 | 1.18 |
| 16:30 | 243 | გრონინგენი-დენ ჰააგი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 16:30 | 244 | ალკმაარი-ნაიმეგენი | 1.50 | 3.70 | 5.70 | 1.06 | 1.18 | 2.24 |
| 18:30 | 246 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1.90 | 3.40 | 3.40 | 1.21 | 1.21 | 1.70 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:45 | 262 | ბრაგა-ბოავიშტა | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| 23:45 | 263 | ბენფიკა-ამადორა | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:15 | 258 | ვიტ. გიმარაეში-სპორტინგი | 3.20 | 3.00 | 2.10 | 1.54 | 1.26 | 1.23 |
| 23:45 | 259 | ნაციონალი-პორტუ | 3.20 | 3.00 | 2.10 | 1.54 | 1.26 | 1.23 |
| 19:00 | 261 | აკადემიკა-ლეირია | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 22:00 | 264 | სეტუბალი-გილ ვისენტე | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 19:00 | 265 | ეშტრელა-პენაფიელი | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| 19:00 | 266 | მარიტიმუ-ნავალი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| | | **პორტუგალია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 268 | ვარზიმი-მაია | 2.20 | 3.20 | 2.70 | 1.30 | 1.21 | 1.46 |
| 20:00 | 273 | სანტა კლარა-ფეირენსე | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 18:30 | 274 | ოლივაისი-ბარეირენსე | 1.60 | 3.30 | 4.80 | 1.07 | 1.20 | 1.95 |
| 21:00 | 275 | გონდომარი-ავეში | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 269 | მაია-ფელგეირასი | 1.65 | 3.40 | 4.40 | 1.11 | 1.20 | 1.91 |
| 19:00 | 270 | მოიეირენსე-პორტიმონენსე | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 18:00 | 271 | შავეში-ვიზელა | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:45 | 284 | ირაკლისი-ატრომიტოსი | 2.35 | 3.00 | 2.80 | 1.31 | 1.27 | 1.44 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 276 | პაოკი-იონიკოსი | 1.40 | 3.90 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.43 |
| 20:00 | 277 | ოფი-ოლიმპიაკოსი | 5.50 | 3.70 | 1.50 | 2.21 | 1.17 | 1.06 |
| 22:00 | 279 | აეკ-პანათინაიკოსი | 2.55 | 3.00 | 2.60 | 1.37 | 1.28 | 1.39 |
| 16:30 | 280 | ერგოტელისი-პანიონიოსი | 2.35 | 3.00 | 2.85 | 1.31 | 1.28 | 1.46 |
| 20:00 | 281 | აიგალეო-ქსანთი | 2.60 | 2.90 | 2.70 | 1.37 | 1.32 | 1.39 |
| 16:30 | 283 | ლევადიაკოსი-კალითეა | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| | | **24 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:00 | 282 | ოლიმპია-კალამარია | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| | | **თურქეთი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 285 | ანკარაგუჯუ-ანკარა | 2.50 | 3.10 | 2.70 | 1.38 | 1.29 | 1.44 |
| 21:00 | 289 | გალათასარაი-დენიზლი | 1.15 | 6.00 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.28 |
| 21:00 | 290 | გალათასარაი-დენიზლი 0:1 | 1.45 | 4.90 | 4.00 | | | |
| 21:00 | 295 | კაისერი-სამსუნი | 1.75 | 3.40 | 4.10 | 1.15 | 1.22 | 1.85 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:00 | 287 | გაზიანთეპი-რიზე | 1.70 | 3.30 | 4.90 | 1.12 | 1.26 | 1.97 |
| 16:00 | 288 | სივასსპორი-დიარბაქირი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| 21:00 | 291 | მალატია-ფენერბაჰჩე | 6.70 | 4.20 | 1.40 | 2.58 | 1.15 | 1.04 |
| 21:00 | 292 | მალატია-ფენერბაჰჩე 1:0 | 2.65 | 3.60 | 2.05 | | | |
| 16:00 | 293 | მანისა-გენჩლერბირლიგი | 2.25 | 3.10 | 2.90 | 1.30 | 1.26 | 1.49 |
| 16:00 | 294 | კონია-ბეშიქთაში | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 14:00 | 296 | სპარტაკი-ტორპედო | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 14:00 | 297 | სატურნი-შინიკი | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |
| 14:00 | 298 | როსტოვი-ტომსკი | 1.80 | 2.90 | 4.50 | 1.11 | 1.28 | 1.76 |
| 14:00 | 299 | ალანია-ლოკომოტივი | 4.20 | 3.90 | 1.60 | 2.02 | 1.15 | 1.13 |
| 14:00 | 301 | რუბინი-კრილია | 1.55 | 3.80 | 5.00 | 1.10 | 1.18 | 2.15 |
| 14:00 | 302 | ამქარი-ცსკა | 4.30 | 3.60 | 1.60 | 1.95 | 1.16 | 1.10 |
| 14:00 | 303 | დინამო-ტერეკი | 1.45 | 3.90 | 5.50 | 1.05 | 1.14 | 2.28 |
| 14:00 | 305 | მოსკოვი-ზენიტი | 2.75 | 3.00 | 2.45 | 1.43 | 1.29 | 1.34 |
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 317 | ოდრა-არკა | 1.75 | 3.20 | 4.40 | 1.13 | 1.25 | 1.85 |
| 20:00 | 321 | ლეხი-ბელხატოვი | 1.55 | 3.30 | 5.50 | 1.05 | 1.20 | 2.06 |
| 20:00 | 323 | პოგონი-ლეგია | 1.95 | 3.10 | 3.40 | 1.19 | 1.23 | 1.62 |
| 20:00 | 324 | ამიკა-გორნიკი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 20:00 | 325 | გროცლინი-პოლონია | 1.40 | 3.70 | 7.30 | 1.01 | 1.17 | 2.45 |
| 22:00 | 326 | ზაგლემბე-ლეხია | 2.90 | 3.00 | 2.20 | 1.47 | 1.25 | 1.26 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:30 | 318 | ვისლა-კორონა | 1.45 | 3.70 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 330 | ზლინი-ბოლესლავი | 2.45 | 3.00 | 2.55 | 1.34 | 1.24 | 1.37 |
| 20:00 | 331 | ბანიკი-იბლონეცი | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:25 | 329 | სლავია-სპარტა | 2.80 | 3.00 | 2.30 | 1.44 | 1.26 | 1.30 |
| 17:00 | 332 | პლზენი-სლოვაცკო | 2.50 | 3.00 | 2.60 | 1.36 | 1.27 | 1.39 |
| 17:00 | 333 | ხმელი-პრიბრამი | 2.50 | 3.00 | 2.60 | 1.36 | 1.27 | 1.39 |
| 17:00 | 334 | სიგმა-ბრნო | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 17:00 | 337 | იაბლონეცი-მოსტი | 1.60 | 3.30 | 4.80 | 1.07 | 1.20 | 1.95 |
| | | **24 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:40 | 336 | ტეპლიცე-ლიბერეცი | 2.15 | 3.00 | 3.00 | 1.25 | 1.25 | 1.50 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:00 | 338 | პუხოვი-ბ.ბისტრიცა | 2.60 | 3.00 | 2.50 | 1.39 | 1.27 | 1.36 |
| 19:30 | 339 | ტრნავა-ინტერი | 1.35 | 4.10 | 6.80 | 1.01 | 1.12 | 2.55 |
| 16:00 | 340 | დუბნიცა-პეტრჟალკა | 3.30 | 3.00 | 2.05 | 1.57 | 1.26 | 1.21 |
| 16:00 | 341 | ნიტრა-ტრენჩინი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 19:30 | 342 | ჟილინა-რუჟომბეროკი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| | | **ხორვატია** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:30 | 343 | პულა-რიეკა | 3.30 | 3.10 | 2.00 | 1.59 | 1.24 | 1.21 |
| 20:00 | 344 | ინტერი-მეჟიმურიე | 1.75 | 3.20 | 3.85 | 1.13 | 1.20 | 1.74 |
| 17:30 | 345 | სლავენი-ზაგრები | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 20:00 | 346 | ვარტექსი-კამენი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 20:00 | 347 | დინამო-ციბალია | 1.20 | 5.20 | 9.00 | 1.00 | 1.05 | 3.29 |
| 22:15 | 348 | ოსიეკი-ჰაიდუკი | 3.10 | 3.00 | 2.10 | 1.52 | 1.25 | 1.23 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 363 | კოპენჰაგენი-ჰორსენსი | 1.20 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.33 |
| 19:00 | 364 | კოპენჰაგენი-ჰორსენსი 0:1 | 1.50 | 4.00 | 4.40 | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 362 | ნორდშელანდი-სილკებორგი | 1.65 | 3.50 | 4.60 | 1.12 | 1.21 | 1.98 |
| 19:30 | 365 | ბრონდბი-მიდტიულანდი | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 19:30 | 366 | ბრონდბი-მიდტიულანდი 0:1 | 2.00 | 3.50 | 3.00 | | | |
| 17:00 | 367 | ხელსინგორი-ოდენსე | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 17:00 | 368 | ვიბორგი-ესბიერგი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 17:00 | 370 | ოლბორგი-ორჰუსი | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| | | **დანია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 371 | სკივე-ბრონშოი | 1.70 | 4.00 | 3.60 | 1.19 | 1.15 | 1.89 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15:00 | 372 | ფრემი-ოლსტედი | 1.65 | 3.90 | 4.00 | 1.15 | 1.16 | 1.97 |
| 15:00 | 373 | ფრემადი-ამაგერი | 2.50 | 3.70 | 2.25 | 1.49 | 1.18 | 1.39 |
| 15:00 | 374 | ლინგბი-ნესტვედი | 2.05 | 3.80 | 2.75 | 1.33 | 1.17 | 1.59 |
| 17:00 | 375 | რანდერსი-ბრაბრანდი | 1.25 | 5.10 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.25 |
| 17:00 | 376 | ვეილე-კოლდინგი | 1.85 | 3.80 | 3.20 | 1.24 | 1.17 | 1.73 |
| 17:00 | 377 | კიოგე-ფრედერისია | 1.65 | 4.10 | 3.80 | 1.17 | 1.15 | 1.97 |
| 17:00 | 378 | აკადემისკი-ჰელერუპი | 2.65 | 3.50 | 2.20 | 1.50 | 1.20 | 1.35 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 381 | ტრომსო-ვიკინგი | 2.10 | 3.30 | 3.20 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| 20:00 | 382 | ალესუნდი-ლინი | 2.45 | 3.50 | 2.50 | 1.44 | 1.23 | 1.45 |
| 20:00 | 384 | მოლდე-ჰამარი | 2.05 | 3.30 | 3.30 | 1.26 | 1.26 | 1.64 |
| 20:00 | 385 | ფრედრიკსტადი-ლილესტრომი | 2.45 | 3.50 | 2.50 | 1.44 | 1.23 | 1.45 |
| 20:00 | 387 | ბრანი-ოდ გრენლანდი | 1.70 | 3.50 | 4.60 | 1.14 | 1.24 | 1.98 |
| 20:00 | 388 | ვალერენგა-როზენბორგი | 2.10 | 3.40 | 3.00 | 1.29 | 1.23 | 1.59 |
| 20:00 | 390 | ბოდო გლიმტი-სტარტი | 2.85 | 3.60 | 2.10 | 1.59 | 1.20 | 1.32 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 393 | ლილ ჰამ-სტაბეკი | 2.60 | 3.70 | 2.20 | 1.52 | 1.19 | 1.37 |
| 17:00 | 394 | ჰაუგი-სოგნდალი | 2.25 | 3.70 | 2.60 | 1.39 | 1.20 | 1.52 |
| 17:00 | 395 | სკეიდი-მოსი | 3.10 | 4.00 | 1.85 | 1.74 | 1.15 | 1.26 |
| 17:00 | 396 | პორს გრენლანდი-ჰონეფოსი | 2.00 | 3.70 | 3.00 | 1.29 | 1.20 | 1.65 |
| 17:00 | 397 | კონგსვინგერი-სტრიომსგოდსეტი | 2.30 | 3.70 | 2.50 | 1.41 | 1.19 | 1.49 |
| 17:00 | 398 | სანდეფიორდი-ალტა | 1.25 | 5.30 | 8.50 | 1.01 | 1.08 | 3.26 |
| 17:00 | 399 | ბრინი-ფიოლი | 1.75 | 3.70 | 3.80 | 1.18 | 1.19 | 1.87 |
| 17:00 | 400 | მანდალი-ტონსბერგი | 2.30 | 3.90 | 2.35 | 1.44 | 1.16 | 1.46 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 405 | ჰელსინგბორგი-ჰაკენი | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 17:00 | 406 | კალმარი-ჰალმსტადი | 1.70 | 3.40 | 4.60 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 17:00 | 407 | მალმიო-ჰამარბი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 17:00 | 408 | ორგრიტე-გეტებორგი | 1.75 | 3.40 | 4.10 | 1.15 | 1.22 | 1.85 |
| 17:00 | 409 | ასირიska-გეფლე | 4.30 | 3.60 | 1.65 | 1.95 | 1.19 | 1.13 |
| 17:00 | 410 | დიურგარდენი-ლანდსკრონა | 1.65 | 3.70 | 4.30 | 1.14 | 1.19 | 1.98 |
| 17:00 | 411 | სუნდსვალი-ელფსბორგი | 2.60 | 3.40 | 2.35 | 1.47 | 1.23 | 1.38 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:00 | 412 | ბრომაპოიკარნა-ატვიდაბერგი | 1.85 | 3.60 | 3.50 | 1.22 | 1.21 | 1.77 |
| 16:00 | 413 | ტრელებორგი-ოსტერსი | 2.75 | 3.30 | 2.20 | 1.50 | 1.22 | 1.32 |
| 16:00 | 414 | ნორჩიოპინგი-ესკილსტუნა | 1.55 | 3.90 | 4.50 | 1.10 | 1.15 | 2.08 |
| 16:00 | 415 | დეგერფორსი-ფალკენბერგი | 2.25 | 3.40 | 2.65 | 1.35 | 1.21 | 1.48 |
| 16:00 | 416 | მიოლბი-ბოდენი | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 16:00 | 417 | აიკ-ფრიოლუნდა | 1.35 | 4.50 | 6.50 | 1.03 | 1.11 | 2.65 |

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 418 | ჯუბილო-ვასი | 4.10 | 3.50 | 1.70 | 1.88 | 1.20 | 1.14 |
| 16:00 | 419 | ლოგანბერდეი-თორფედო | 1.80 | 3.50 | 3.60 | 1.18 | 1.20 | 1.77 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 426 | პერაზი-ლონგფორდი | 2.55 | 3.10 | 2.50 | 1.39 | 1.26 | 1.38 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 09:00 | 427 | გამბა-ოიტა | 1.45 | 3.80 | 5.80 | 1.04 | 1.15 | 2.29 |
| 10:00 | 428 | ომია-ურავა | 3.40 | 3.20 | 1.90 | 1.64 | 1.21 | 1.19 |
| 10:00 | 429 | იჩიჰარა-კობე | 1.50 | 3.80 | 5.50 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| 10:00 | 430 | ჯუბილო-ტოკიო | 2.55 | 3.20 | 2.40 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| 10:00 | 431 | კაშიმა-ნაგოია | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 11:00 | 432 | ნიიგატა-იოკოჰამა | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 14:00 | 433 | შიმიძუ-ოსაკა | 2.75 | 3.20 | 2.20 | 1.47 | 1.22 | 1.30 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 10:00 | 434 | კაშივა-კავასაკი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 10:00 | 435 | ჰიროსიმა-ვერდი | 2.55 | 3.20 | 2.35 | 1.41 | 1.22 | 1.35 |
| | | **მექსიკა** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 436 | ტოლუკა-ატლანტე | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 23:45 | 437 | მონტერეი-ნეკაქსა | 1.85 | 3.30 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |
| 23:45 | 438 | კრუზ აზული-სან ლუისი | 1.35 | 4.20 | 6.50 | 1.02 | 1.11 | 2.55 |
| 23:45 | 440 | მორელია-სანტოსი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 23:45 | 441 | ატლასი-დორადოსი | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 442 | ტიგრესი-ტეკოსი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 23:45 | 443 | პაჩუკა-ნეგოსი | 1.50 | 3.70 | 5.30 | 1.06 | 1.16 | 2.17 |
| 23:45 | 444 | ამერიკა-გვადალახარა | 1.25 | 5.00 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.14 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:00 | 449 | ატლეტიკო პრ-ატლეტიკო მგ | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 23:45 | 450 | ფლუმინენსე-პონტე პრეტა | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 23:45 | 451 | ბოტაფოგო-კორინთიანსი | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| 22:00 | 453 | ფიგეირენსე-პალმეირასი | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |
| 22:00 | 455 | კრუზეირო-პარანა | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 22:00 | 456 | ვასკო და გამა-ფლამენგო | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 23:45 | 457 | ჟუვენტუდე-ინტერნაციონალი | 2.75 | 3.20 | 2.20 | 1.47 | 1.22 | 1.30 |
| 23:45 | 458 | კორიტიბა-პაისანდუ | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| | | **ურუგვაი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:30 | 460 | ხუვენტუდი-რამპლა | 2.90 | 3.30 | 2.10 | 1.54 | 1.21 | 1.28 |
| 22:00 | 461 | ნასიონალი-რივერ პლეიტი | 1.45 | 3.70 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| 23:45 | 463 | დანუბიო-სერო | 2.80 | 3.30 | 2.15 | 1.51 | 1.21 | 1.30 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:30 | 462 | როჩა-პლასა | 1.50 | 3.70 | 5.30 | 1.06 | 1.16 | 2.17 |
| 21:30 | 464 | რენტისტასი-ტაკუარემბო | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 21:30 | 465 | ლივერპული-ფენიქსი | 1.65 | 3.30 | 4.60 | 1.10 | 1.21 | 1.92 |
| 21:30 | 466 | კოლონია-უონდერერსი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 22:00 | 467 | ლოკერენი-პენიაროლი | 4.70 | 3.50 | 1.60 | 2.00 | 1.19 | 1.09 |
| 16:10 | 468 | მირამარი-დანუბიო | 2.30 | 3.30 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| | | **ჩილე** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 470 | უნ.კატოლიკა-კოლო კოლო | 3.60 | 3.30 | 1.85 | 1.72 | 1.22 | 1.18 |
| 23:45 | 471 | სან ფელიპე-კობრელოა | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 23:45 | 472 | ტალკა-კონსეპსიონი | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| 23:45 | 473 | ევერტონი-აუდაქსი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 23:45 | 474 | რეინჯერსი-პალესტინო | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 23:45 | 475 | ხუაჩიპატო-პუერტო მონტი | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 23:45 | 476 | უ.კონსეპსიონი-კოკიმბო | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 477 | უნ.ჩილე-კობრესალი | 1.40 | 3.90 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.43 |
| | | **შვეიცარია. თასი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:30 | 511 | ლუგანო-ქსამაქსი | 3.70 | 3.40 | 1.75 | 1.77 | 1.18 | 1.15 |
| 19:30 | 512 | ბადენი-შაფჰაუზენი | 3.70 | 3.40 | 1.75 | 1.77 | 1.18 | 1.15 |
| 21:30 | 513 | ლუცერნი-იანგ ბოისი | 1.75 | 3.30 | 3.85 | 1.14 | 1.20 | [illegible] |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 656 | ტიმრო-ლინშოპინგი | 2.30 | 4.00 | 1.95 | 1.46 | 1.05 | 1.31 |
| 17:00 | 657 | ლულეო-მოდო | 2.20 | 4.00 | 2.00 | 1.41 | 1.04 | 1.33 |
| 17:00 | 658 | ლეკსანდი-ფრიოლუნდა | 2.60 | 4.10 | 1.70 | 1.59 | 1.02 | 1.20 |
| 17:00 | 659 | ფერიესტადი-სოდერტელიე | 1.30 | 4.20 | 4.30 | 1.00 | 1.00 | 2.12 |
| 17:00 | 660 | ჰვ 71-მორა | 1.30 | 4.20 | 4.30 | 1.00 | 1.00 | 2.12 |
| 17:00 | 661 | ბრიუნესი-იურგორდენი | 1.55 | 4.30 | 3.00 | 1.13 | 1.02 | 1.76 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 679 | პელიკანსი-ესპოო | 2.90 | 4.00 | 1.65 | 1.68 | 1.05 | 1.16 |
| 18:00 | 680 | კალპა-კერპატი | 3.10 | 4.00 | 1.60 | 1.74 | 1.05 | 1.14 |
| 18:00 | 681 | ტაპარა-ლუკო | 1.70 | 4.00 | 2.80 | 1.19 | 1.05 | 1.64 |
| 18:00 | 682 | ჰამეენლინა-ილვესი | 1.55 | 4.00 | 3.30 | 1.11 | 1.05 | 1.80 |
| 18:00 | 683 | იოკერიტი-ბლუზი | 2.00 | 4.00 | 2.20 | 1.33 | 1.04 | 1.41 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:45 | 731 | კლოტენი-ლუგანო | 2.10 | 4.00 | 2.00 | 1.37 | 1.02 | 1.33 |
| 21:45 | 735 | ბერნი-დავოსი | 1.85 | 4.00 | 2.40 | 1.26 | 1.04 | 1.50 |
| | | **კალათბურთი. ესპანეთი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 827 | სან სებასტიანი-ბილბაო | 1.25 | 12.00 | 3.00 | 1.13 | 1.00 | 2.40 |
| 21:00 | 829 | მურსია-რეალი | 2.40 | 12.00 | 1.40 | 2.00 | 1.00 | 1.25 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:30 | 828 | ფუენლაბრადა-ვალიადოლიდი | 2.10 | 12.00 | 1.50 | 1.78 | 1.00 | 1.33 |
| 14:30 | 830 | უნიკახა-ალიკანტე | 1.45 | 12.00 | 2.35 | 1.29 | 1.00 | 1.96 |
| 14:30 | 831 | ბარსელონა-ესტუდიანტესი | 1.25 | 12.00 | 3.50 | 1.13 | 1.00 | 2.70 |
| 21:00 | 832 | გრანადა-ბრეოგანი | 1.35 | 12.00 | 2.60 | 1.21 | 1.00 | 2.33 |
| 21:00 | 833 | ხირონა-ანდორა | 1.40 | 12.00 | 2.60 | 1.25 | 1.00 | 2.13 |
| 21:00 | 834 | ხუვენტუდი-ტაუ | 1.65 | 12.00 | 2.00 | 1.45 | 1.00 | 1.71 |
| 21:30 | 835 | მანრესა-ვალენსია | 2.00 | 1.60 | | | | |

## ფრეს ბარიერი (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16003 | ბლექბერნი-ბირმინგემი | 1.40 | 2.30 |
| 16004 | უესტ ჰემი-მიდლსბრო | 1.60 | 1.90 |
| 16005 | არსენალი-სიტი | 1.15 | 3.80 |
| 16006 | ფულჰემი-ლივერპული | 2.20 | 1.50 |
| 16007 | მანჩესტერი-ტოტენჰემი | 1.15 | 3.80 |
| 16008 | ასტონ ვილა-უიგანი | 1.40 | 2.40 |
| 16009 | ბოლტონი-უესტ ბრომვიჩი | 1.25 | 2.90 |
| 16010 | პორტსმუთი-ჩარლტონი | 1.80 | 1.65 |
| 16011 | ნიუკასლი-სანდერლენდი | 1.20 | 3.40 |
| 16012 | ევერტონი-ჩელსი | 4.20 | 1.12 |
| 16086 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1.50 | 2.20 |
| 16087 | ჰანოვერი-ვერდერი | 2.10 | 1.55 |
| 16089 | ჰერტა-მაინცი | 1.12 | 4.20 |
| 16090 | გლადბახი-ლაუტერნი | 1.30 | 2.75 |
| 16091 | აინტრახტი-კიოლნი | 1.50 | 2.20 |
| 16092 | ვოლფსბურგი-შალკე | 1.80 | 1.80 |
| 16093 | ნიურნბერგი-არმინია | 1.40 | 2.30 |
| 16094 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 1.80 | 1.80 |
| 16136 | ტრევიზო-ემპოლი | 1.50 | 2.10 |
| 16137 | მესინა-ასკოლი | 1.40 | 2.40 |
| 16138 | უდინეზე-ინტერი | 2.30 | 1.45 |
| 16139 | კიევო-კალიარი | 1.30 | 2.80 |
| 16140 | მილანი-პალერმო | 1.10 | 4.70 |
| 16142 | ფიორენტინა-პარმა | 1.13 | 3.90 |
| 16144 | ლივორნო-რეჯინა | 1.35 | 2.50 |
| 16145 | სამპდორია-სიენა | 1.25 | 3.00 |
| 16146 | რომა-ლეჩე | 1.65 | 1.90 |
| 16147 | ლაციო-იუვენტუსი | 3.80 | 1.15 |
| 16170 | რეალი-ვალენსია | 1.20 | 3.10 |
| 16171 | ბარსელონა-ოსასუნა | 1.06 | 5.00 |
| 16172 | ვილარეალი-მალიორკა | 1.20 | 3.30 |
| 16173 | სოსიედადი-დეპორტივო | 1.60 | 1.90 |
| 16174 | ხეტაფე-სარაგოსა | 1.50 | 2.15 |
| 16176 | სელტა-ესპანიოლი | 1.40 | 2.40 |
| 16178 | სევილია-ალავესი | 1.25 | 2.90 |
| 16179 | კადისი-ბილბაო | 1.55 | 2.10 |
| 16180 | რასინგი-ატლეტიკო | 1.70 | 1.80 |
| 16181 | მალაგა-ბეტისი | 1.70 | 1.80 |

## გოლი: ლუწი-1 კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17003 | ბლექბერნი-ბირმინგემი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | უესტ ჰემი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17005 | არსენალი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ფულჰემი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17007 | მანჩესტერი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ასტონ ვილა-უიგანი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ბოლტონი-უესტ ბრომვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | პორტსმუთი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ნიუკასლი-სანდერლენდი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | ევერტონი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17086 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17087 | ჰანოვერი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17089 | ჰერტა-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17090 | გლადბახი-ლაუტერნი | 1.85 | 1.95 |
| 17091 | აინტრახტი-კიოლნი | 1.85 | 1.95 |
| 17092 | ვოლფსბურგი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17093 | ნიურნბერგი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17094 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17096 | ბაიერნი-დუისბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17136 | ტრევიზო-ემპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17137 | მესინა-ასკოლი | 1.85 | 1.95 |
| 17138 | უდინეზე-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17139 | კიევო-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17140 | მილანი-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17142 | ფიორენტინა-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17144 | ლივორნო-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17145 | სამპდორია-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17146 | რომა-ლეჩე | 1.85 | 1.95 |
| 17147 | ლაციო-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17170 | რეალი-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17171 | ბარსელონა-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17172 | ვილარეალი-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17173 | სოსიედადი-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17174 | ხეტაფე-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 17176 | სელტა-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17178 | სევილია-ალავესი | 1.85 | 1.95 |
| 17179 | კადისი-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17180 | რასინგი-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17181 | მალაგა-ბეტისი | 1.85 | 1.95 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10003 | ბლექბერნი-ბირმინგემი | 2.40 | 2.00 | 4.00 | 1.09 | 1.50 | 1.33 |
| 10004 | უესტ ჰემი-მიდლსბრო | 2.70 | 2.00 | 3.40 | 1.14 | 1.50 | 1.25 |
| 10005 | არსენალი-სიტი | 1.70 | 2.30 | 5.80 | 1.00 | 1.31 | 1.64 |
| 10006 | ფულჰემი-ლივერპული | 4.00 | 2.00 | 2.40 | 1.33 | 1.50 | 1.09 |
| 10007 | მან.იუნაიტედი-ტოტენჰემი | 1.80 | 2.20 | 5.00 | 1.00 | 1.32 | 1.52 |
| 10008 | ასტონ ვილა-უიგანი | 2.30 | 2.00 | 4.20 | 1.06 | 1.48 | 1.35 |
| 10009 | ბოლტონი-უესტ ბრომვიჩი | 2.00 | 2.10 | 5.10 | 1.02 | 1.43 | 1.48 |
| 10010 | პორტსმუთი-ჩარლტონი | 3.10 | 2.00 | 2.80 | 1.21 | 1.47 | 1.16 |
| 10011 | ნიუკასლი-სანდერლენდი | 1.80 | 2.20 | 5.20 | 1.00 | 1.33 | 1.54 |
| 10012 | ევერტონი-ჩელსი | 5.20 | 2.40 | 1.60 | 1.64 | 1.22 | 1.00 |
| 10086 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 2.50 | 2.00 | 3.80 | 1.11 | 1.50 | 1.31 |
| 10087 | ჰანოვერი-ვერდერი | 3.80 | 2.00 | 2.50 | 1.31 | 1.50 | 1.11 |
| 10089 | ჰერტა-მაინცი | 1.70 | 2.20 | 5.80 | 1.00 | 1.31 | 1.59 |
| 10090 | გლადბახი-ლაუტერნი | 2.15 | 2.00 | 4.50 | 1.03 | 1.45 | 1.38 |
| 10091 | აინტრახტი-კიოლნი | 2.50 | 2.00 | 3.80 | 1.11 | 1.50 | 1.31 |
| 10092 | ვოლფსბურგი-შალკე | 2.90 | 2.00 | 3.10 | 1.18 | 1.49 | 1.21 |
| 10093 | ნიურნბერგი-არმინია | 2.40 | 2.00 | 4.00 | 1.09 | 1.50 | 1.33 |
| 10094 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 2.90 | 2.00 | 3.10 | 1.18 | 1.49 | 1.21 |
| 10096 | ბაიერნი-დუისბურგი | 1.30 | 3.10 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.27 |
| 10136 | ტრევიზო-ემპოლი | 2.65 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.50 | 1.27 |
| 10137 | მესინა-ასკოლი | 2.30 | 2.00 | 4.30 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10138 | უდინეზე-ინტერი | 4.00 | 2.00 | 2.40 | 1.33 | 1.50 | 1.09 |
| 10139 | კიევო-კალიარი | 2.15 | 2.00 | 4.50 | 1.03 | 1.45 | 1.38 |
| 10140 | მილანი-პალერმო | 1.60 | 2.50 | 6.30 | 1.00 | 1.27 | 1.78 |
| 10142 | ფიორენტინა-პარმა | 1.70 | 2.20 | 5.90 | 1.00 | 1.31 | 1.60 |
| 10144 | ლივორნო-რეჯინა | 2.30 | 2.00 | 4.30 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10145 | სამპდორია-სიენა | 2.00 | 2.10 | 5.10 | 1.02 | 1.43 | 1.48 |
| 10146 | რომა-ლეჩე | 2.80 | 2.00 | 3.10 | 1.16 | 1.47 | 1.21 |
| 10147 | ლაციო-იუვენტუსი | 5.30 | 2.10 | 1.80 | 1.50 | 1.34 | 1.00 |
| 10170 | რეალი-ვალენსია | 2.00 | 2.00 | 5.20 | 1.00 | 1.44 | 1.14 |
| 10171 | ბარსელონა-ოსასუნა | 1.55 | 2.50 | 6.50 | 1.00 | 1.25 | 1.80 |
| 10172 | ვილარეალი-მალიორკა | 1.80 | 2.10 | 5.30 | 1.00 | 1.34 | 1.50 |
| 10173 | სოსიედადი-დეპორტივო | 2.80 | 2.00 | 3.20 | 1.16 | 1.49 | 1.23 |
| 10174 | ხეტაფე-სარაგოსა | 2.50 | 2.00 | 3.80 | 1.11 | 1.50 | 1.31 |
| 10176 | სელტა-ესპანიოლი | 2.30 | 2.00 | 4.30 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10178 | სევილია-ალავესი | 2.00 | 2.10 | 5.20 | 1.02 | 1.44 | 1.49 |
| 10179 | კადისი-ბილბაო | 2.65 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.50 | 1.27 |
| 10180 | რასინგი-ატლეტიკო | 2.90 | 2.00 | 3.10 | 1.18 | 1.49 | 1.21 |
| 10181 | მალაგა-ბეტისი | 2.90 | 2.00 | 3.10 | 1.18 | 1.49 | 1.21 |

# 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11003 | ბლექბერნი-ბირმინგემი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11005 | არსენალი-სიტი | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 9.00 |
| 11006 | ფულემი-ლივერპული | 5.20 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4,00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11007 | მანჩესტერი-ტოტენჰემი | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11008 | ასტონ ვილა-უიგანი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11009 | ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11010 | პორტსმუთი-ჩარლტონი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.50 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11011 | ნიუკასლი-სანდერლენდი | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11012 | ევერტონი-ჩელსი | 10.00 | 10.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.70 |
| 11086 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11087 | ჰანოვერი-ვერდერი | 5.10 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11089 | ჰერტა-მაინცი | 1.80 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11090 | გლადბახი-ლაუტერნი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.50 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11091 | აინტრახტი-კიოლნი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11092 | ვოლფსბურგი-შალკე | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11093 | ნიურნბერგი-არმინია | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11094 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11136 | ტრევიზო-ემპოლი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.50 |
| 11137 | მესინა-ასკოლი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11138 | უდინეზე-ინტერი | 5.00 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 2.80 |
| 11139 | კიევო-კალიარი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11140 | მილანი-პალერმო | 1.70 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11142 | ფიორენტინა-პარმა | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11144 | ლივორნო-რეჯინა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11145 | სამპდორია-სიენა | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11146 | რომა-ლაციო | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11147 | ლეჩე-იუვენტუსი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.50 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.10 |
| 11170 | რეალი-ვალენსია | 2.00 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 10:00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11171 | ბარსელონა-ოსასუნა | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11172 | ვილიარეალი-მალიორკა | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11173 | სოსიედადი-დეპორტივო | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.50 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11174 | ხეტაფე-სარაგოსა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11176 | სელტა-ესპანიოლი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11178 | სევილია-ალავესი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11179 | კადისი-ბილბაო | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11180 | რასინგი-ატლეტიკო | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11181 | მალაგა-ბეტისი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15003 | ბლექბერნი-ბირმინგემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ვესტ ჰემი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | არსენალი-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | ფულემი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | მანჩესტერი-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ასტონ ვილა-უიგანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | პორტსმუთი-ჩარლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | ნიუკასლი-სანდერლენდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | ევერტონი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15086 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15087 | ჰანოვერი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15089 | ჰერტა-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15090 | გლადბახი-ლაუტერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15091 | აინტრახტი-კიოლნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15092 | ვოლფსბურგი-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15093 | ნიურნბერგი-არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15094 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15096 | ბაიერნი-დუისბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15136 | ტრევიზო-ემპოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15137 | მესინა-ასკოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15138 | უდინეზე-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15139 | კიევო-კალიარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15140 | მილანი-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15142 | ფიორენტინა-პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15144 | ლივორნო-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15145 | სამპდორია-სიენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15146 | რომა-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15147 | ლეჩე-იუვენტუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15170 | რეალი-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15171 | ბარსელონა-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15172 | ვილიარეალი-მალიორკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15173 | სოსიედადი-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15174 | ხეტაფე-სარაგოსა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15176 | სელტა-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15178 | სევილია-ალავესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15179 | კადისი-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15180 | რასინგი-ატლეტიკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15181 | მალაგა-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

([illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 14003 | ბლექბერნი-ბირმინგემი | 1.70 | 2.10 |
| 14004 | ვესტ ჰემი-მიდლსბრო | 1.80 | 2.00 |
| 14005 | არსენალი-სიტი | 1.25 | 2.50 |
| 14006 | ფულემი-ლივერპული | 2.10 | 1.70 |
| 14007 | მანჩესტერი-ტოტენჰემი | 1.25 | 2.50 |
| 14008 | ასტონ ვილა-უიგანი | 1.65 | 2.20 |
| 14009 | ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1.45 | 2.40 |
| 14010 | პორტსმუთი-ჩარლტონი | 1.90 | 1.90 |
| 14011 | ნიუკასლი-სანდერლენდი | 1.35 | 2.40 |
| 14012 | ევერტონი-ჩელსი | 2.50 | 1.15 |
| 14086 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1.75 | 2.10 |
| 14087 | ჰანოვერი-ვერდერი | 2.10 | 1.75 |
| 14089 | ჰერტა-მაინცი | 1.20 | 2.60 |
| 14090 | გლადბახი-ლაუტერნი | 1.55 | 2.30 |
| 14091 | აინტრახტი-კიოლნი | 1.75 | 2.10 |
| 14092 | ვოლფსბურგი-შალკე | 1.90 | 1.90 |
| 14093 | ნიურნბერგი-არმინია | 1.70 | 2.20 |
| 14094 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 1.90 | 1.90 |
| 14136 | ტრევიზო-ემპოლი | 1.80 | 2.00 |
| 14137 | მესინა-ასკოლი | 1.60 | 2.20 |
| 14138 | უდინეზე-ინტერი | 2.20 | 1.60 |
| 14139 | კიევო-კალიარი | 1.40 | 2.40 |
| 14140 | მილანი-პალერმო | 1.06 | 2.90 |
| 14142 | ფიორენტინა-პარმა | 1.25 | 2.50 |
| 14144 | ლივორნო-რეჯინა | 1.55 | 2.30 |
| 14145 | სამპდორია-სიენა | 1.40 | 2.40 |
| 14146 | რომა-ლაციო | 1.80 | 1.90 |
| 14147 | ლეჩე-იუვენტუსი | 2.50 | 1.30 |
| 14170 | რეალი-ვალენსია | 1.40 | 2.40 |
| 14171 | ბარსელონა-ოსასუნა | 1.20 | 2.60 |
| 14172 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.40 | 2.40 |
| 14173 | სოსიედადი-დეპორტივო | 1.90 | 1.90 |
| 14174 | ხეტაფე-სარაგოსა | 1.80 | 2.00 |
| 14176 | სელტა-ესპანიოლი | 1.65 | 2.30 |
| 14178 | სევილია-ალავესი | 1.40 | 2.40 |
| 14179 | კადისი-ბილბაო | 1.80 | 2.00 |
| 14180 | რასინგი-ატლეტიკო | 1.90 | 1.90 |
| 14181 | მალაგა-ბეტისი | 1.90 | 1.90 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13003 | ბლექბერნი-ბირმინგემი | 1.70 | 1.90 |
| 13004 | ვესტ ჰემი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 13005 | არსენალი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 13006 | ფულემი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13007 | მანჩესტერი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | ასტონ ვილა-უიგანი | 1.70 | 1.90 |
| 13009 | ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | პორტსმუთი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | ნიუკასლი-სანდერლენდი | 1.70 | 1.90 |
| 13012 | ევერტონი-ჩელსი | 1.90 | 1.70 |
| 13086 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1.60 | 2.00 |
| 13087 | ჰანოვერი-ვერდერი | 1.60 | 2.00 |
| 13089 | ჰერტა-მაინცი | 1.70 | 1.90 |
| 13090 | გლადბახი-ლაუტერნი | 1.70 | 1.90 |
| 13091 | აინტრახტი-კიოლნი | 1.60 | 2.00 |
| 13092 | ვოლფსბურგი-შალკე | 1.55 | 2.10 |
| 13093 | ნიურნბერგი-არმინია | 1.60 | 2.00 |
| 13094 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 1.55 | 2.10 |
| 13136 | ტრევიზო-ემპოლი | 1.70 | 1.90 |
| 13137 | მესინა-ასკოლი | 1.70 | 1.90 |
| 13138 | უდინეზე-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13139 | კიევო-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 13140 | მილანი-პალერმო | 1.90 | 1.70 |
| 13142 | ფიორენტინა-პარმა | 1.70 | 1.90 |
| 13144 | ლივორნო-რეჯინა | 1.70 | 1.90 |
| 13145 | სამპდორია-სიენა | 1.70 | 1.90 |
| 13146 | რომა-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 13147 | ლეჩე-იუვენტუსი | 1.90 | 1.70 |
| 13170 | რეალი-ვალენსია | 1.60 | 2.00 |
| 13171 | ბარსელონა-ოსასუნა | 1.90 | 1.70 |
| 13172 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 13173 | სოსიედადი-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 13174 | ხეტაფე-სარაგოსა | 1.70 | 1.90 |
| 13176 | სელტა-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 13178 | სევილია-ალავესი | 1.70 | 1.90 |
| 13179 | კადისი-ბილბაო | 1.70 | 1.90 |
| 13180 | რასინგი-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 13181 | მალაგა-ბეტისი | 1.70 | 1.90 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12003 | ბლექბერნი-ბირმინგემი | 1.70 | 1.90 |
| 12004 | ვესტ ჰემი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 12005 | არსენალი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 12006 | ფულემი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 12007 | მანჩესტერი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12008 | ასტონ ვილა-უიგანი | 1.70 | 1.90 |
| 12009 | ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | პორტსმუთი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | ნიუკასლი-სანდერლენდი | 1.70 | 1.90 |
| 12012 | ევერტონი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 12086 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1.90 | 1.70 |
| 12087 | ჰანოვერი-ვერდერი | 2.10 | 1.55 |
| 12089 | ჰერტა-მაინცი | 2.00 | 1.60 |
| 12090 | გლადბახი-ლაუტერნი | 1.90 | 1.70 |
| 12091 | აინტრახტი-კიოლნი | 1.90 | 1.70 |
| 12092 | ვოლფსბურგი-შალკე | 1.90 | 1.70 |
| 12093 | ნიურნბერგი-არმინია | 1.90 | 1.70 |
| 12094 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 2.00 | 1.60 |
| 12096 | ბაიერნი-დუისბურგი | 2.20 | 1.50 |
| 12136 | ტრევიზო-ემპოლი | 1.60 | 2.00 |
| 12137 | მესინა-ასკოლი | 1.70 | 1.90 |
| 12138 | უდინეზე-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 12139 | კიევო-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 12140 | მილანი-პალერმო | 1.90 | 1.70 |
| 12142 | ფიორენტინა-პარმა | 1.90 | 1.70 |
| 12144 | ლივორნო-რეჯინა | 1.70 | 1.90 |
| 12145 | სამპდორია-სიენა | 1.90 | 1.70 |
| 12146 | რომა-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 12147 | ლეჩე-იუვენტუსი | 1.90 | 1.70 |
| 12170 | რეალი-ვალენსია | 2.00 | 1.60 |
| 12171 | ბარსელონა-ოსასუნა | 2.00 | 1.60 |
| 12172 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 12173 | სოსიედადი-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 12174 | ხეტაფე-სარაგოსა | 1.70 | 1.90 |
| 12176 | სელტა-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 12178 | სევილია-ალავესი | 1.70 | 1.90 |
| 12179 | კადისი-ბილბაო | 1.70 | 1.90 |
| 12180 | რასინგი-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 12181 | მალაგა-ბეტისი | 1.70 | 1.90 |



სიდნეი. ვიქტორ სანეევს საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენს გადასცემს



სიდნეი. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა ვიქტორ სანეევს მეოცე საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი ვაჟისთვის განკუთვნილი ჯილდო გადასცა

# ვიქტორ სანეევი და ქართული სპორტის ზეიმი

## ჩემპიონთა ჩემპიონს მეორედ დაბადებას უპირებენ

**თხუთმეტწლიანი განშორების შემდეგ ხვალ თბილისს მეოცე საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი ვიქტორ სანეევი ეწვევა, ორშაბათს კი მისი 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ოლიმპიური ფესტივალი დაიწყება. საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა საზეიმო ღონისძიებათა ერთკვირიანი პროგრამა ადრევე დაგეგმა, მასმედიას კი გუშინ ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა პრესკონფერენციაზე უმასპინძლა**

„ოლიმპიური ფესტივალი ტრადიციული ღონისძიებაა. წლეულს იგი ქართული სპორტის ცოცხალი ლეგენდის, ვიქტორ სანეევის დაბადების დღეს დავუკავშირეთ — გვეუბნება ემზარ ზენაიშვილი — სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა საქართველო თხუთმეტი წლის წინათ დატოვა და მას შემდეგ აქაურობა თვალით არ უნახავს. ამჟამად ავსტრალიის მოქალაქეა. თქმაც არ უნდა, უმნიშვნელოვანესი დღეები გველის. ამ სტუმრობაზე წლების წინ დავიწყეთ მუშაობა. გვინდოდა, საუკუნის სპორტსმენების დაჯილდოების ცერემონიალსაც დასწრებოდა მისი გამარჯვებული, მაგრამ ჯანმრთელობის პრობლემების გამო ეს ვერ მოახერხა. ვიქტორ სანეევი დათრგუნული იყო თავისი ფიზიკური მდგომარეობით და ვერ წარმოიდგენთ, ახლაც როგორ ნერვიულობს".

ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა პროგრამაში შეტანილი რამდენიმე მომენტი გამოარჩია. პირველ რიგში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებისა და პრიზიორების საფლავების მონახულება და გვირგვინებით შემკობა. ამის სურვილი თავად ვიქტორ სანეევს გამოუთქვამს.

ზენაიშვილისვე თქმით, მალე სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მონუმენტურ-დეკორატიული კომპოზიცია — „ოდა ქართველ ოლიმპიელებს" — დაიდგმება. 29 ოქტომბერს სწორედ ამ პროექტის პრეზენტაცია და ძეგლის საფუძვლის ჩაყრის ცერემონიალი გაიმართება. იმავე საღამოს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ვიქტორ სანეევის საიუბილეო საღამო გაიმართება.

30 ოქტომბერს ზეიმი რუსთაველის პროსპექტზე გადაინაცვლებს. მერიის საქალაქო სამსახური, ოლიმპიური კომიტეტი, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და მძლეოსნობის ფედერაცია ხალხს უამრავ სიურპრიზს უმზადებს.

ეს საქვეყნო საქმეა და მის გალამაზებაში ყველა თავის წვლილს შეიტანსო, დასძინა ემზარ ზენაიშვილმა.

იუბილარი სასტუმრო „მარიოტში" დაბინავდება. იქვე იცხოვრებენ საგანგებო სტუმრებიც. მათ შორის იქნება უკრაინის ეოკ-ის პრეზიდენტი სერგეი ბუბკა, ვინც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თხუთმეტკაციანი აღმასკომის წევრიცაა და გაისად ივნისში ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობის კანდიდატთა განაცხადებზეც იტყვის თავის სიტყვას.

მოგეხსენებათ, 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების კანდიდატებს შორის ბორჯომიცაა. თბილისში ჩამოსვლაზე უკვე თანხმობა შემოთვალეს პოლონეთის, ლატვიის, ესტონეთისა და თურქეთის ეოკ-ების პრეზიდენტებმა, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა და ევროპის მძლეოსნობის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა.

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი ახალ ორდენს ამზადებს, რომლის პირველი მფლობელი ვიქტორ სანეევი გახდება. ამასთან, იგი თბილისის საპატიო მოქალაქედაც გამოცხადდება და მთავარი: უკვე მზადდება დოკუმენტები სანეევისთვის ორმაგი მოქალაქეობის მიცემასთან დაკავშირებით. მეოცე საუკუნის საუკეთესო ქართველ სპორტსმენს ქვეყნის პრეზიდენტიც შეხვდება.

როგორც პრესკონფერენციის ბოლოს ემზარ ზენაიშვილმა გვითხრა, ფესტივალი ისე უნდა ჩატარდეს, როგორც ვიქტორ სანეევს ეკადრება. ჩვენ მას იმხელა სითბო უნდა ვაგრძნობინოთ, რომ მეორედ დაიბადოსო.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**ავთანდილ გურასაშვილის**

***ფოტოები***

სამი ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულის, XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენის ვაჟთაგანის ვიქტორ სანეევის დაბადებიდან 60 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებათა პროგრამა

**23-31 ოქტომბერი**

**23 ოქტომბერი**

შეხვედრა თბილისის აეროპორტში

**24 ოქტომბერი**

**15.00-15.45** ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებისა და პრიზიორების საფლავების გვირგვინებით შემკობა

**16.00-16.45** შეხვედრა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში

**17.00-17.45** შეხვედრა კულტურისა და სპორტის სამინისტროში

**25 ოქტომბერი**

კულტურული პროგრამა

**26 ოქტომბერი**

**12.00-13.00** ვიქტორ სანეევის „მასტერ კლასი" ახალგაზრდა ათლეტებისთვის [illegible]

**27 ოქტომბერი**

**11.00-12.00** საქართველოს ოლიმპიური ფონდის მიერ ნონა გაფრინდაშვილის, ვიქტორ სანეევისა და ლევან თედიაშვილის სახელობის სტიპენდიების დაწესებასთან დაკავშირებული შეხვედრა (ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემია)

**12.30-13.30** სეოკ-ის ახალგაზრდული ორგანიზაციის პროგრამა [illegible] (პეკინის პროსპ. N 49ა)

**28 ოქტომბერი**

**15.00-16.00** [illegible] გამოფენა-კონკურსის გახსნა დევიზით — „ჩვენ მომავალი ოლიმპიელები ვართ" (ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სამხატვრო გალერეა. შავთელის 7ა)

**29 ოქტომბერი**

**11.00-11.45** მონუმენტურ-დეკორატიული კომპოზიციის „ოდა ქართველ ოლიმპიელებს" პროექტის პრეზენტაცია და ძეგლის საფუძვლის ჩაყრის ცერემონიალი (სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია)

**12.00-14.30** გამგზავრება მცხეთაში; ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება — სტუმრად ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთან, საქართველოს [illegible] ასოციაციის პრეზიდენტ რომან რურუასთან (მცხეთა)

**15.00-15.30** ფოტოგამოფენის „ვიქტორ სანეევი — 60" გახსნა (საგამოფენო დარბაზი „კოპალა", ძმები ზუბალაშვილების N 7)

**17.00-19.00** უცხოეთის ეოკ-ებისა და საქართველოს ეოკ-ს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებების ხელმოწერა (საქართველოს ეოკ-ის პრეზიდენტის რეზიდენცია. ბოჭორმის N 21)

**30 ოქტომბერი**

**12.00-17.00** სპეციალურ ღონისძიებათა კომპლექსი რუსთაველის პროსპექტზე „ქართული სპორტისა და ოლიმპიზმის ვარსკვლავები — თბილისელების სტუმრად" სტუმრად მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ალაზნელებთან

**17.00-17.45** მასმედიის შეხვედრა ვიქტორ სანეევთან და უცხოეთის ქვეყნების ეოკ-თა ხელმძღვანელებთან (სასტუმრო „თბილისი მარიოტი" — გუმბათის კომპანია „ყაზბეგის" სახელით)

**31 ოქტომბერი**

სტუმართა გამგზავრება



ვიქტორ სანეევი მეუღლითურთ



სიდნეი. ვიქტორ სანეევს ემზარ ზენაიშვილმა სეოკ-ის ჯილდო გადასცა



სიდნეის ოლიმპიადაზე ვიქტორ სანეევი საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის ოლიმპიური ატაშე იყო



# ქართულ-რუსული დერბი

**ევროპის** ერთა თასის გათამაშებამ ლიგურ ანუ ცამეტკაცა რაგბიში 15 ოქტომბერს აიღო სტარტი და 6 მონაწილიდან (რომელთა შორის საქართველოცაა), ოთხმა უკვე პირველი მატჩები ჩაატარა.

„A“ ჯგუფში უელსმა შოტლანდიას უმასპინძლა და, როგორც მოსალოდნელი იყო, მოუგო კიდეც — 22:14.

„B“ ჯგუფში საფრანგეთის რუსები მოუხდნენ შინ, მაგრამ „დათვებმა“ დამხვდურებს ვერაფერი დააკლეს, 80:0 წააგეს და სამშობლოში სირცხვილნაჭამები გამობრუნდნენ.

ხვალ, 23 ოქტომბერს, ევროპის ლიგური რაგბის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში „ცამეტი ქართველიც“ ჩაერთვება. დებიუტიც არის და დებიუტიც, ჩვენებურები მეზობელ რუსებს ეთამაშებიან მოსკოვში და, დაგვეთანხმებით, ამ მატჩის პრინციპულობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

აგერ უკვე რამდენი ხანია ქართველი ბორჯღალოსნები რუსებს რაგბის გაკვეთილებს ვუტარებთ და მნიშვნელობა არა აქვს, სად ვთამაშობთ, მაგრამ ის სხვა რაგბია, ჩვენთვის უკვე ასე მიღებული, სისხლში გამჯდარი და ათვისებული... ცამეტკაცურად კი მხოლოდ ორჯერ გვითამაშია და ისიც ისეთ მეტოქეებთან, ოვალური ბურთის ბევრი რომ არაფერი გაეგებათ. ამიტომ ჰოლანდიასთან თუ სერბეთთან მოგებული საკვალიფიკაციო თამაშები უნდა დავივიწყოთ და რთული ბრძოლისათვის განვეწყოთ. რუსები ხომ ლიგურ რაგბის უკვე ათ წელიწადზე მეტია, თამაშობენ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი არაფრისთვის მიუღწევიათ და ალბათ ახლო მომავალში ვერც მიაღწევენ, ჩვენთან შედარებით აშკარად მეტი გამოცდილება აქვთ.

კვირასვე გათამაშებაში ჩაერთვება ირლანდიაც, რომელიც „A“ ჯგუფში მონაწილეობს და შოტლანდიაში უნდა ჩავიდეს. ჩემპიონატის ფორმატი მარტივია: ორ სამგუნდიან ჯგუფში პირველ ადგილზე გასულები ერთმანეთს ფინალში შეხვდებიან.

რაგბი ლიგის ევროპული ფედერაციის საიტმა, რუსეთ-საქართველოს მატჩი რაგბილიგის ერთა თასის ისტორიაში პირველ აღმოსავლეთევროპულ დერბიდ მონათლა, ფავორიტად კი რუსეთი დაასახელა. არც არის გასაკვირი, „დათვებს“ რაგბილიგაში კარგა ხანია, იცნობენ.

და რა არის ამ დროს ჩვენი კოზირი? ის, რომ მოწინააღმდეგე რუსეთია, ჩვენ კი რუსებთან თავის შერცხვენა ოვალური ბურთით თამაშისას არ გვჩვევია და ზოგადადაც ჩვენ უფრო ვართ სარაგბო ერი, ვიდრე ჩრდილოელები.

ერთი საინტერესო დეტალიც — რუსთა ნაკრების ბირთვს მოსკოვის „ლოკომოტივის“ მოთამაშეები შეადგენენ, ჩვენი ნაკრები კი მეტწილად თბილისის „ლოკომოტივის“ მორაგბეებითაა დაკომპლექტებული. ასე რომ, კვირის მატჩს „რკინიგზული დერბიც“ შეგვიძლია, ვუწოდოთ.

„13 ქართველის“ შემადგენლობაში ბევრი ისეთი მორაგბე თამაშობს, ბორჯღალოსანთა ნაკრებშიც რომ შეუცვლელია, ზოგი კი ისეთია, ახალგაზრდული ნაკრების მაისურა რომ მოურგია და დიდი რაგბი უთამაშია.

თუმცა, რაღა ბევრი გავაგრძელოთ, თავად გადახედეთ შემადგენლობას.

*1. გიორგი ასათიანი, 2. ზვიად კობერიძე, 3. სანდრო გილაური, 4. რევაზ გიგაური (ყველა ლოკომოტივი, რაინდები), 5. დავით ჟამუტაშვილი (ხულიგანა), 6. ლექსო გუგავა (ლოკომოტივი, რაინდები), 7. ბიძინა სამხარაძე (ლოკომოტივი, რაინდები), 8. გიორგი მჭედლიშვილი (ლელო), 9. ნონო ანდღულაძე, 10. დავით გასვიანი, 11. ნიკა მხეიძე, 12. გიორგი ტრაპაიძე (ყველა ლოკომოტივი, რაინდები), 13. ვახტანგ ახვლედიანი (ხულიგანა, კაპ)*

*სათადარიგოები: ფრიდონ უდესიანი, ბექა ყურაშვილი (ორივე ლოკომოტივი, რაინდები), მამუკა ცხადაძე (ყოჩები), გიორგი ხოსიტაშვილი (ხულიგანა)*

*რეზერვი: ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი, რაინდები), თორნიკე ძაგნიძე (აია)*

*მთ. მწვრთნელი: რიჩარდ ალე (სამოა)*

*ასისტენტი: ვინი ვები (ინგლისი)*



# ბოისამ დებიუტი ცხრიანში გაიტყა
## ანატოლი მეორე სერიაში

*ვლადიმერ ბოისა სერია A-ში დებიუტს ორი ტური ელოდა და გასულ კვირას სურვილიც აიხდინა. ვლადიმერმა „სიენას“ განაცხადში არაევროკავშირელ ლეგიონერთა ლიმიტის გამო ვერ ხვდებოდა, თუმცა ორმატჩიანი უქმობის შემდეგ სიენელებმა ის განაცხადში შეიყვანეს და ჩვენიანსაც თავი არ შეურცხვენია. ბოისას დებიუტი „აველინოსთან“ შედგა და მის ანგარიშზე საბოლოოდ 9-9 ქულა-მოხსნა დაგროვდა. ვლადიმერმა სერია A-ში გუშინწინაც ითამაშა, თუმც შედარებით მოკრძალებულად...*

— როგორც იქნა, იტალიის ჩემპიონატში ვითამაშე. გასულ კვირას „აველინოს“ წინააღმდეგ დებიუტი მქონდა — გვითხრა ბოისამ გუშინ, სიენაში რომ შევეხმიანეთ.

**— 9 ქულა და ამდენივე მოხსნა მოაგროვე. ალბათ კმაყოფილი იქნები...**

— კმაყოფილი ვარ, ცუდად ნამდვილად არ მითამაშია. ხუთეულში დავიწყე და მოედანზე 24 წუთი გავატარე. შეიძლებოდა, მეტი სარგებლობა მომეტანა გუნდისთვის, მაგრამ ესეც საკმარისია, „აველინო“ ხომ იოლად დავამარცხეთ.

**— 9 მოხსნა საკმაოდ ბევრია. ეტყობა, თავდამსხმელად ითამაშე...**

— არა, სამ ნომერზე, ფრთის პოზიციაზე ვითამაშე, მოხსნების სიმრავლე კი შემთხვევითობს ბრალია. რამდენიმე ბურთი ფარიდან მოშორებით მოვხსენი, კალათმა ჩემკენ აისხლიტა.

**— თამაშის შემდეგ მწვრნელმა რა გითხრა?**

— არაფერი. იქ ასეთი წესია, მოგებული მატჩის შემდეგ მწვრთნელები გასახდელში არ შემოდიან, მეორე დღეს კი განვლილ თამაშზე აღარავინ ლაპარაკობს. ისე, როგორც ვფიქრობ, მწვრთნელი უკმაყოფილო არ უნდა დარჩენილიყო.

**— მომდევნო მატჩზე რას იტყვი?**

— „რეჯიო კალაბრიას“ დამარცხება ოდნავ გაგვიჭირდა. ამ მატჩში ცოტა ვითამაშე. ხუთეულში არ დამიწყია, მაგრამ პირველ მეოთხედშივე გავედი მოედანზე. მთლიანობაში 9 წუთი ვითამაშე და 4 ქულა გავაკეთე. ამ შედეგით კმაყოფილი, ცხადია, არ ვარ, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ძალიან ცოტა ხანს ვიყავი მოედანზე.

**— რატომ, მერე?**

— არ ვიცი, მწვრთნელმა ასე გადაწყვიტა. „სიენას“ არაერთი მაღალი კლასის კალათბურთელი ჰყავს და, ცხადია, იმდენ ხანს ვერ გამიყვანენ მოედანზე, რამდენსაც „ოლიმპიაში“ ვთამაშობდი. ჩემი მიზანი სტაბილურობაა და თუ ამას მივაღწიე, მოედანზეც ხშირად მომიწევს ყოფნა.

**— სერია A-ს საწყისი ორი ტური ლეგიონერთა ლიმიტის გამო ვერ ითამაშე. ახლა რამე შეიცვალა?**

— არა, არაფერი არ შეცვლილა, განაცხადში ერთ-ერთი ამერიკის ნაცვლად შემიყვანეს. ხვალ მომდევნო ტურია და არ ვიცი, კვლავ ვიქნები განაცხადში თუ არა.

**— ასე სათუოდ როდემდე უნდა გქონდეს საქმე?**

— ამერიკელ შონ სტოუნრეჯს იტალიის მოქალაქეობას მალე მისცემენ და მერე განაცხადში ყოფნის პრობლემა აღარ მექნება.

**— გავიგეთ, შენ მანდ შენი უმცროსი ძმისთვისაც ეძებ გუნდს...**

— ანატოლი იტალიაში მალე ჩამოვა. მას ვიზას ალბათ ხვალ გავუგზავნით და აქ რომ იქნება, მერე უფრო იოლად მოძებნის გუნდს. იგი ალბათ სერია B-ს ან სერია C-ს რომელიმე კლუბში მოეწყობა.

**ირაკლი პერტაია**





# ჟაკ როგის წინასწარმეტყველება

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა განაცხადა, რომ პეკინის 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე შესაძლოა ვილიხოთ უშუ. ამავე დროს ამ სახეობის წარმომადგენლები თავიანთი გამოსვლებისთვის არანაირ მედალს არ მიიღებენ იმდენად, რამდენადაც უშუ ოლიმპიადის ოფიციალურ პროგრამაში არ იქნება.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში სპორტის 28 სახეობაა.

ჟაკ როგმა ჩინელი ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში ისიც განაცხადა, რომ სრულებითაც არ გამიკვირდება, თუ ჩინეთის ნაკრები მოპოვებული მედლების რაოდენობით პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ყველას აჯობებსო.

„შედეგები, რომლებიც ჩინელმა სპორტსმენებმა ათენის ოლიმპიურ თამაშებზე აჩვენეს, ბევრ რამეზე მეტყველებს. ასე რომ, ჩემთვის სიურპრიზი არ იქნება, თუ ჩინელი სპორტსმენები პეკინში ყველაზე მეტ მედალს მოიპოვებენ“ — თქვა როგმა.

# ტურინი ტერორისტების მოლოდინშია

**იტალიის** საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ამ ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯუზეპე პიზანომ განაცხადა, რომ გაისად ტურინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე მოსალოდნელია ტერორისტული აქტების განხორციელებაო.

„ისლამისტი ტერორისტები თავიანთი აქციებისთვის ისეთ დროს არჩევენ, როცა ქვეყნისკენ ყველაზე მეტადაა მიპყრობილი მსოფლიოს ყურადღება“ — თქვა პიზანომ.

ტურინის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას 70 ქვეყნის 2500 სპორტსმენი მიიღებს და თამაშების დღეებში იტალიაში უსაფრთხოების განსაკუთრებული ღონისძიებები განხორციელდება.

# ნადალი ისევ ნადალობს

**მასტერსის სერია. მადრიდი ესპანეთი. მაგარსაფარი საპრიზო 1 870 000 €**

III წრე

**ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი, 14) — 7:6 7:6; **დავიდ ფერერი** (ესპანეთი, 11) — მარიანო პუერტა (არგენტინა, 6) — 6:7 6:1 6:4; **ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია, 8) — ოლივიე როხუსი (ბელგია) — 6:4 6:4; **რაფაელ ნადალი** (ესპანეთი, 1) — ტომი რობრედო (ესპანეთი, 13) — 6:2 6:4; **ფერნანდო გონსალესი** (ჩილე, 15) — გილერმო კორია (არგენტინა, 4) — 7:5 6:3



ფერნანდო გონსალესი



რაფაელ ნადალი

AFP მადრიდიდან

**მადრიდში** მიმდინარე მასტერსის სერიის მორიგ ტურნირზე ყველა ნახევარფინალისტის ვინაობა გაირკვა. წინა დღეებისგან განსხვავებით, ამჟამად ხმაურიანი სენსაციები აღარ ყოფილა, თუმც რამდენიმე მოულოდნელი შედეგი კი დაფიქსირდა, მაგალითად, ტურნირის მეოთხე ნომრის, არგენტინელი გილერმო კორიას მარცხი ჩილელ ფერნანდო გონსალესთან.

კორია, რომელიც არასოდეს გამოირჩეოდა მაგარ საფარზე კარგი შედეგებით, წლეულს ვერც ფიზიკური ფორმით დაიკვეხნის. არადა, არგენტინელის სათამაშო სტილი სწორად კორტზე სწრაფ გადაადგილებასა და მეტოქის დაღლაზეა გათვლილი. ცუდი ფორმის გამო კორია ახლა თვითონ უფრო სწრაფად იღლება, რაც ჩილელთან თამაშის დროსაც კარგად გამოჩნდა. პირველი სეტის მეთორმეტე გეიმში მან ფაქტობრივად თავისით წააგო, როცა ზედიზედ ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა, მეორე სეტში კი გონსალესმა უფრო უმატა ტემპს და მატჩშიც მოგებამდე მიიყვანა.

კორიასგან განსხვავებით ჩინებულ ფორმაშია ტურნირის პირველი ნომერი, ესპანელი რაფაელ ნადალი. მას მეოთხედფინალში გასავლელად თანამემამულე ტომი რობრედოს დამარცხება სჭირდებოდა. 19 წლის ნადალმა ამ საქმის მხოლოდ ორი სეტი მოანდომა.

თამაშის შემდეგ ნადალმა აღნიშნა, რომ პირველი მატჩისგან განსხვავებით, ახლა გაცილებით უკეთ ითამაშა.

ასე რომ, ნადალი კვლავ განაგრძობს მადრიდში ასპარეზობას და მოგების მთავარ პრეტენდენტად რჩება, ესპანელის მეტოქე კი მეოთხედფინალში ჩეხი რადეკ შტეპანეკი იქნება, რომელმაც ასპარეზობას ხოსე აკასუსო გამოთიშა.

წლის ბოლოს გასამართი დევისის თასის ერთგვარი შესავალი ენახეთ ივო კარლოვიჩისა და დომინიკ ჰრბატის მატჩში. კარლოვიჩს დევისის თასზე თამაშის შანსი მხოლოდ მაშინ მიეცემა, თუ ივან ლიუბიჩიჩი ან მარიო ანჩიჩი დაშავდებიან, ხოლო ჰრბატი სლოვაკეთის ნაკრების ლიდერია, მაგრამ ასეთი ქვეტექსტი ამ შეხვედრას მაინც გააჩნდა.

ასეა თუ ისე, კარლოვიჩმა ჰრბატის ორ სეტში მოუგო, ორჯერვე ტაი-ბრეიკით და მეოთხედფინალშიც გავიდა, სადაც არგენტინელ დავიდ ნალბანდიანს შეხვდება.

მეოთხედფინალის საგზურები ასევე მოიპოვეს ბოლო პერიოდში ბრწყინვალე ფორმაში მყოფმა ხორვატმა ივან ლიუბიჩიჩმა და ესპანელმა დავიდ ფერერმა, რომელმაც არგენტინელი პუერტა დაამარცხა.

**WTA. ციურიხი. შვეიცარია მაგარსაფარი.**

**საპრიზო 1 300 000 დოლარი**

II წრე

**ლინდსი დევენპორტი** (აშშ, 1) — დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) — 3:6 7:5 6:2; **ანა ივანოვიჩი** (სერბია-მონტენეგრო) — ელენა იანკოვიჩი (სერბია-მონტენეგრო) — 6:2 6:1; **ფრანჩესკა სკიავონე** (იტალია) — ნადია პეტროვა (რუსეთი, 5) — 3:6 6:2 7:6

**ციურიხის** ტურნირის [illegible] ხელფინალური წყვილები [illegible] ორე ნომრის [illegible] რესმოს ბედი კინაღამ [illegible] ლინდსი დევენპორტმა გადაწყვიტა.

დევენპორტი, რომელიც [illegible] პირველ ნომრად განიხილება, [illegible] დანიელა ჰანტუხოვასთან [illegible] დაუჩრა მარცხს. ამ [illegible] ერთი ნაბიჯი დააკლდა [illegible] ფინალში გასვლამდე — [illegible] ტში ჰანტუხოვას ორი [illegible] ჰქონდა, მაგრამ მათი [illegible] შეძლო, რის შემდეგ [illegible] მთლიანად ხელში იგდო [illegible] დავებმა, მეორე სეტი [illegible] მეში კი სლოვაკის საერთოდ [illegible] გაუწია წინააღმდეგობა.

— „მე თითქოს ორი სხვადასხვა მატჩი ვითამაშე. თავიდან [illegible] ცდომას ვუშვებდი. ჰანტუხოვა [illegible] მართლაც მშვენიერად თამაშობდა, თუმცა უცბად ყველაფერი [illegible] ლა, რამდენიმე კარგი [illegible] მოვიგე და საკუთარი თამაში [illegible] პოვე... ჰანტუხოვა ალბათ [illegible] არასასურველი კონდიცია [illegible] ვისთან შეხვედრაც პირველ [illegible] ში მინდოდა, ამიტომ მისი დამარცხება ორმაგად სასიხარულოა" [illegible] თამაშის შემდეგ დევენპორტმა.

იტალიელი ფრანჩესკა სკიავონე რუსების წინააღმდეგ [illegible] თამაშს განაგრძობს. მისი [illegible] პლი ამჯერად ნადია პეტროვა [illegible] დგა, რომელიც იტალიელმა [illegible] ძალისხმევით, მხოლოდ მესამე სეტის ტაიბრეიკზე დაამარცხა.

სერბულ დერბიში კი ანა ივანოვიჩი ერთი თავით მაღლა იდგა [illegible] ნა იანკოვიჩზე და ამ [illegible] მხოლოდ სამი გეიმის მოგების საშუალება მისცა.

**კახა ლომაშვილი**



NHL

## რეგულარული ჩემპიონატი

# ტორტორელა აგოგოქრდა

20 ოქტომბერი

**აილენდერსი 5:4 რეინჯერსი**

*3:2 1:1 1:1*

2:0 შატანი (2), 2:0 ბლეიკი (2), 3:0 პერიში (3), 3:1 იაგრი (20), 3:2 იაგრი (20), 4:2 ემამი (22), 4:3 რუჩინსკი (23), 5:3 პერიში (41), 5:4 იაგრი (55)

**თამაშის** დაწყებამდე ერთი საათით ადრე „რეინჯერსის" ჰოკეისტებს მოულოდნელად სასტუმროს დატოვება მოუხდათ. ვიღაც შეშლილი ქირურგიული ნიღბით ოტელის ფოიეში შეიჭრა, უცნობი ქიმიური ნივთიერება ძირს დააგდო და უცბად აორთქლდა. როგორც შემდგომში გაირკვა, ქიმიკატი, მიუხედავად საკმაოდ არასასიამოვნო სუნისა, სავსებით უვნებელი ყოფილა, თუმც თავიდან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მართალია, „რეინჯერსის" მოთამაშეებმა ერთხმად განაცხადეს, რომ ამ მოვლენამ არანაირი გავლენა არ მოახდინა მათ სამატჩო განწყობაზე, მაგრამ პირველ წუთებზე სტუმრები აშკარად დაბნეულნი ჩანდნენ და რაღაც 78 წამში სამი შაიბის გაშვების შემდეგ უმძიმეს სიტუაციაში აღმოჩნდნენ. იარომირ იაგრის შთამაგონებელმა თამაშმა და 2,5 წლის განმავლობაში პირველმა ჰეთ თრიქმაც კი ვერ ეშველა მათ.

„ტერორისტი" კი (ეს უკვე მატჩის შემდეგ გახდა ცნობილი) 23 წლის ვინმე უოლესი აღმოჩნდა, რომელიც ნიუ იორკის ერთ-ერთ სასტუმროში მუშაობდა. უოლესი ინციდენტის შემდეგ რამდენიმე საათში დააკავეს.

**ატლანტა 0:6 ტამპა**

*0:4 0:1 0:1*

0:1 სან ლუი (2), 0:2 მოდინი (5), 0:3 ფედოტენკო (12), 0:4 მოდინი (14), 0:5 პროსპალი (38), 0:6 ლეკავალიე (55)

**მატჩის** შემდეგ ყველაზე გაბრაზებული, უფრო სწორად, გაცოფებული, „ტამპას" თავკაცი ჯონ ტორტორელა იყო, იგი „ატლანტას" ჰოკეისტ ერიკ ბულტონის ყოფაქცევის გამო გადაირია. თამაშის მიწურულს ქომაგების უსიამოვნო შეძახილებით წაქეზებულმა ბულტონმა ტამპელ პოლ რეინჯერს ისე უთავაზა იდაყვი თავში, რომ საბრალო რეინჯერი მოედნიდან გასაყვანი გახდა.

„ამ – ტიპმა ქვედა – ლიგაში უნდა ითამაშოს, მაგრამ ის... ნჰლ-შია. ახლა მაგას დასჯიან, თუმცა ამ... პრობლემაზე ვინ ფიქრობს? — ბობოქრობდა ტორტორელა, მკითხველი კი თავად მიხვდება, რა სიტყვები იგულისხმება წერტილების ნაცვლად.

მატჩის შემდეგ „ატლანტას" მწვრთნელი ბობ ჰარტლი „ტამპას" გასახდელში ყოფილა, მაგრამ რა ილაპარაკეს, ტორტორელამ ჟურნალისტებს არ გაუმხილა.

სხვათა შორის, „ატლანტას" ჰოკეისტებისთვის ეს პირველი არ არის. ენდი სატონი უკვე იხდის 4-მატჩიან დისკვალიფიკაციას, ხოლო რა დაემართათ ატლანტელებს, არავინ უწყის. მას შემდეგ, რაც კლუბს ილია კოვალჩუკი დაუბრუნდა, „თრეშერები" ზედიზედ ოთხჯერ დამარცხდნენ!



სიდნი კროსბიმ ქულიანი სერია შეწყვიტა

**პიტსბურგი 3:6 ნიუ ჯერსი**

*0:2 2:2 1:2*

0:1 პანდოლფო (11), 0:2 გომესი (19), 1:2 ტარნსტრიომი (29), 2:2 ლემიე (29), 2:3 მალახოვი (30), 2:4 ჯიონტა (37), 2:5 ჯიონტა (4), 2:6 მოგილნი (43), 3:6 ჯეკმენი (49)

**მარიო ლემიეს** მოთმინებასაც ბოლო მოეღო მას შემდეგ, რაც „პიტსბურგი" ზედიზედ მეშვიდე მატჩში დამარცხდა (ეს „პინგვინების" ანტირეკორდი გახლავთ), კლუბის ლიდერი და მფლობელი ალაპარაკდა და პარტნიორები გააკრიტიკა.

„გუნდში ყველა როდია მოწოდების სიმაღლეზე. მხოლოდ მაშინ იწყება თამაში, როცა ორი-სამი გოლით ჩამოვრჩებით მეტოქეს, ეს კი ყოვლად დაუშვებელია. ჩვენ სულ სხვა სტარტს ველოდებოდით" — თქვა ლემიემ ნამატჩევს.

ისე, მარიომ საკუთარ გულშიც უნდა ჩაიხედოს, იქნებ თავადაც არ აკეთებს ყველაფერს, რაც შეუძლია. მართალია, ამჯერად ლემიემ გოლი და პასი მიითვალა, რის ხარჯზეც მეორე პერიოდში ანგარიში გათანაბრდა, მაგრამ მისი გაძევების შემდეგ ნიუ-ჯერსი კვლავ დაწინაურდა და მეტოქე აღარც გაახარა.

აღსანიშნავია, რომ ამავე თამაშში შეწყდა სიდნი კროსბის ქულიანი სერია (6 შეხვედრაში 9 (2+7) ქულა).

**ბოსტონი 3:4 ბუფალო**

*1:1 1:1 1:2*

0:1 ბრიარი (15), 1:1 სამსონოვი (17), 2:1 აქსელსონი (21), 2:2 კონოლი (34), 2:3 დიუმონი (43), 2:4 კოტალიკი (54), 3:4 სამსონოვი (55)

**ფლორიდა 3:2 ვაშინგტონი**

*1:1 2:0 0:1*

0:1 ოვეჩკინი (2), 1:1 სტიუარტი (7), 2:1 კოლნიკი (33), 3:1 ვან რინი (37), 3:2 ოვეჩკინი (58)

ალექსანდრ ოვეჩკინი [illegible] თია ლიგაში, ვისაც [illegible] ქულიანი სერია აქვს აქტიური.

**ნეშვილი 3:2 სენტ ლუისი**

*1:1 0:1 1:0 0:0 1:0 ბულიტების სერიაში*

1:0 ჰემიუსი (16), 1:1 ბრიუერი (19), 1:2 მაკამონდი (29), 2:2 სტივენსონი (43), 3:2 გადამწყვეტი ბულიტი: სალიანი

**პოლ** კარიას თასის ფინალში [illegible] უთამაშია, მაგრამ ყოველი კარგი [illegible] რტი, როგორიც მას ახლა [illegible] ლით" გამოუყენა [illegible] უდრეკად კარგი [illegible] — თქვა კარიამ მატჩის შემდეგ. „მტაცებლებს" [illegible] ტში მოიგეს, ხოლო თამაშის [illegible] გაუთავებლობაში კარია [illegible] ლისხმობს, რომ [illegible] ლი" ხშირად ბულიტების სერიაში [illegible] თუმც ამჯერად კარიას [illegible] რებელის არც კი [illegible] ორების ორჯერ [illegible] და მანამდე [illegible]

**სამველ ლარიბიანი**

**დალასი 2:7 ლოს ანჯელესი**

*1:3 1:4 0:0*

1:0 მოდანო (3), 1:1 ვისნოვსკი (3), 1:2 დემიტრა (5), 1:3 ფროლოვი (9), 1:4 ბრაუნი (29), 1:5 კონროი (35), 1:6 რობიტაილი (39), 2:6 ბუშე (39), 2:7 პაროსი (40)

**კალგარი 3:1 ედმონტონი**

*0:1 2:0 1:0*

0:1 მორო (17), 1:1 რაინპრეხტი (38), 2:1 კობასიუ (39), 3:1 კობასიუ (56)

**ვანკუვერი 3:2 ფინიქსი**

*1:0 1:2 1:0*

1:0 ჟოვანოვსკი (8), 1:1 ბალარდი (23), 2:1 ბაუმგარტნერი (32), 2:2 სენდერსონი (34), 3:2 კუკი (45).

AFP ბარსელონიდან



# რონალდინიო თამაშობს

ვიდეოფეხბურთი, თიახაც, დიდი გასართობია დღევანდელ მსოფლიოში. რონალდინიოც აქაა, ერთ-ერთი ახალი თამაშის პრეზენტაციაზე. რა თქმა უნდა, თავისი „ბარსათი" „რეალს" ეთამაშება: ეკრანზე სამეულ ეტოოს და ზიდანს შეამჩნევთ.

# კაი საქმე

მალიორკაზე, პაულა[illegible]ში უნარმოკლებული ადამიანები მიიწვიეს და მთელი დღით გაართეს. საბრალოთ გაკვეთილებს თვით განთქმული მეგოლფე სერხიო გარსია უტარებდა.



AFP პალმა დე მალიორკადან

AFP ნანჯინგიდან



# ჩინური ბილიკზე

ჩინეთში მიმდინარეობს მძლეოსანთა საერთო ეროვნული თამაშები. ნანინგის სტადიონზე ბევრი მოულოდნელი რამ ხდება. მაგალითად, გოგონათა ესტაფეტის დროს იმდენი ცრუსტარტი მოხდა, რომ გაირკვა, ყოველივე აპარატურის ბრალიაო და კაბელები გამოცვალეს.

# კვლავ უსინათლონი

საფრანგეთში გრძელდება უსინათლოთა საქვეყნოთქვეყნო მატჩების სერია ბრაზილიელებსა და ფრანგებს შორის. ნაკრებები ახლა მარსელს ჩასულან და იქ უთამაშიათ.



AFP [illegible]


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლალო ხოშტარია, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge